სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 ივნისი 2004 №148 (2169) ფასი 50 თეთრი



პორტუგალია ლუცულობს, ჰოლანდიას უნდა



დღეს დიდი მატჩია და ვაი იმ მწვრთნელს, რომლის გუნდიც დამარცხდება.

დიე ადვოკაატს ჯერ ჯიდევ ჩეხეთთან წაგების მერე დამუქრებიან ჰოლანდიელი გულშემატკივრები, წაგებულს გიჯობს, არ ჩამოხვიდე სამშობლოშიო.

ლუიშ ფელიპე სკოლარის კი ჯერ არ დამუქრებიან, მაგრამ დღეს თუ წააგო, რა იცი...

ჯერჯერობით კი ასეა: გუშინ სკოლარიმ ყველა პორტუგალიელს სთხოვა პორტუგალიის დროშის ფერი სამოსის ჩაცმა, აქაოდა, ჰოლანდიელები თავისი ნარინჯისფერი მაისურებით ჩვენზე მეტნი არ გამოჩნდნენო.

მოკლედ, დიდი ბრძოლის წინ სხვა, დიდი ფსიქოლოგიური ბრძოლაა.

Sempione Cup 2004

2:1 დინამო ბაზელთან სასიამოვნო იყო

შვეიცარიაში საკმაოდ პოპულარულ ტურნირ „სემპიონ ქაფში“ სათამაშოდ მიწვეულმა თბილისის „დინამომ“ პირველივე მატჩში იძალა. ჩვენებმა მასპინძელთა ჯილა „ბაზელი“ 2:1 დაამარცხეს. მართალია, „ბაზელს“ ევროპის ჩემპიონატზე შვეიცარიის ნაკრებში ნათამაშები ხუთი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ დინამოელთა გამარჯვებას ეს ფაქტი ვერას დააკლებს — გია გეგუჩაძესაც ხომ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჰყავს.

ანგარიში „დინამომ“ გახსნა 66-ე წუთზე — დავით კვირკველიას შორეულ გასროლილს „ბაზელის“ მეკარემ ვერაფერი მოუხერხა. წუთში მასპინძლებმა პეტრიჩის გოლით გაათანაბრეს, თუმც მალე ისევ „დინამომ“ იყოჩაღა — ჯაბა კანკავას პასით ლადო ახალაიამ გამარჯვებისა შეაგდო.

ჩვენებურები კიდევ ორჯერ იყვნენ ახლოს მიზანთან, მაგრამ სანდრო იაშვილის და იმავ ახალაიას დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

გეგუჩაძემ გუნდი მისთვის ჩვეული 4-3-3 სქემით ათამაშა და ნამატჩევს ასეთი კომენტარი გააკეთა: „მართალია, „ბაზელს“ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ მოგება მაინც ძალიან მესიამოვნა. ამ ეტაპზე ჩემი გუნდის მდგომარეობით კმაყოფილი ვარ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. მიხარია, რომ „ბაზელის“ დარ ძლიერ გუნდთან კარგად ვითამაშეთ“.

„დინამო“ ტურნირის მეორე მატჩს 3 ივლისს გამართავს შვეიცარიულ „იანგ ბოიზთან“, რომელიც გუშინწინ ბუქარესტის „დინამოსთან“ 1:2 დამარცხდა. მერე კი ქულები აიწონ-დაიწონება და ფინალისტებიც გამოვლინდებიან.

„ბაზელთან“ მოგებული „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ზოიძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი (სალუქვაძე 68), კვირკველია, კანკავა, ალადაშვილი (კანდელაკი 62), კაშია (გონჩაროვი 57), მელქაძე (რომერო 87), ახალაია, იაშვილი (კაკალაძე 57).*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუიშ ფიგუ დღეს ისევ იკაპიტნებს

ნახევარფინალი. დღეს

ლისაბონი. ეროზე ალვალადე. 22.45

პორტუგალია – ჰოლანდია

სავარაუდო შემადგენლობები

1 რიკარდუ

4 ჟორჟე ანდრადე 16 რ. კარვალიუ

13 მიგელი 14 ნუნუ ვალენტე

6 კოშტინია

18 მანიშე 20 დეკო

7 ფიგუ 17 კ. რონალდო

21 ნუნუ გომეში

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

1 ვან დერ სარი

3 სტამი 4 ბუმა

2 რაიციგერი 5 ვან ბრონკჰორსტი

6 კოკუ

20 ზეედორფი 8 დავიდსი

7 ვან დერ მეიდე 19 რობენი

10 ვან ნისტელროი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

ჰოლანდიელთა კაპიტან ფრანკ დე ბურისთვის ჩემპიონატი უკვე დასრულდა

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

ალე, ლუიშ!

პორტუგალია მამის ხელია

პორტუგალიის ნაკრები დაბანაკებულია ქალაქ ალკოშეტეში, ლისაბონიდან 30 კილომეტრში. იქ, მუხების ჩრდილში მდებარეობს „სპორტინგის“ ბაზა, რომელიც საევროპოდ კლუბმა თავაზიანად დაუთმო ნაკრებს. ამ დღეებში ეს ადგილი პორტუგალიელი ფანებისთვის ისეთივე წმინდაა, როგორც მექა და მედინა მლოცველებისთვის.

ალკოშეტეში, ისევე როგორც სხვა პორტუგალიურ დასახლებებში, აუტანელი სიცხეა. ნაკრები სავარჯიშოდ მხოლოდ საღამოს 6 საათისთვის გადის, ხან 7 საათზეც, როცა მზე ნაკლებად ახურებს მიწას. აქ თავი მოუყრიათ ეროვნული გვარდიის ფეხოსნებს და მხედრებს. ისინი ნაკრების სიმშვიდეს იცავენ.

ვარჯიშები დახურულია. ფოტორეპორტიორებს 15 წუთით უშვებენ და მერე კარისკენ მიუთითებენ ხოლმე. მწერალ ჟურნალისტებს კი ცნობების შეკრება ყოველდღიურ ნახევარსაათიან პრესკონფერენციებზე შეუძლიათ, რომელზეც ორი ფეხბურთელი და მწვრთნელთაგან ვინმე ესწრება.

გეხსომებათ, როცა მეოთხედფინალში პორტუგალია ინგლისთან 0:1 აგებდა და ფელიპე სკოლარიმ ლუიშ ფიგუ შეცვალა, კაპიტანმა მოედნიდან გასვლისას არც შემცველ პოსტიგას ჩამოართვა ხელი, არც მწვრთნელს და არც სათადარიგოთა სკამზე დაჯდა, პირდაპირ გასახდელში გასწია. ამას, ბუნებრივია, ლაპარაკი მოჰყვა, ნაკრებში განხეთქილებაა.

მაგრამ ნაკრების სამზარეულოში ჩახედული ხალხი ირწმუნება, არაფერი ხდება და ფიგუც გულმოდგინედ ემზადება ჰოლანდიელებთან სათამაშოდ. ირწმუნებიან, ნახევარფინალში ნაკრებს კვლავ ის უკაპიტნებსო. გუშინწინ ალკოშეტეში ფიგუს მამაც ჩავიდა და შვილს მხარზე ხელი დაჰკრა, აბა, შენ იცი.

დღეისთვის სკოლარის სხვა პრობლემა აქვს — ჟორჟე ანდრადეს და ნუნუ გომეშის ტრავმები. სხვათა შორის, ანდრადე უეინ რუნისთან შეჯახებისას დაშავდა. ნუნუ გომეშის ტრავმა ანდრადეზე ნაკლებად სერიოზულია, მაგრამ პორტუგალიის ნაკრების გულშემატკივრები დავამშვიდოთ: ანდრადეს და გომეშის ტრავმები ისეთიც არ არის, მათი ნახევარფინალში თამაში რომ გამორიცხოს.

— ტკივილს თითქმის ვეღარ ვგრძნობ და გაფიქრებაც არ მინდა, რომ ჰოლანდიასთან შეიძლება ვერ ვითამაშო — თქვა ანდრადემ.

ანდრადეს დროულად მომჯობინების დიდი იმედი აქვს სკოლარისაც, რომელსაც ამ ფეხბურთელის გარეშე დაცვის ხაზი ვერ წარმოუდგენია. შემთხვევითი არ არის, რომ ბერძნებთან წაგების მერე მწვრთნელმა ფერნანდო კოუტუ, რუი ჟორჟე და პაულუ ფერეირა სათადარიგოთა სკამზე დასვა, ანდრადეს კი ისევ ენდობა.

ჰოლანდიის დაცვა დე ბურის ძვალივით გაიბზარა

შვედების დამარცხების მეხუთე დღეს ჰოლანდიელებმა დაისვენეს. ფაქტობრივად, მთელი დღე პლაჟზე გორაობდნენ, რაკი აუტანელ სიცხეში მეტი რა უნდა ეკეთებინათ. ოღონდ დავაზუსტოთ: ვამბობთ ჰოლანდიელებს და ვგულისხმობთ ყველას ფრანკ დე ბურის გარდა. დე ბურს პლაჟზე საგორაოდ არ ეცალა. ჰენრიკ ლარსონთან 35-ე წუთზე შეჯახების მერე დე ბური დაშავდა, ხოლო იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელები ქვიშაში გორაობდნენ, ექიმები კაპიტანს დიაგნოზს უსვამდნენ: ფრანკ დე ბურისთვის ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა.

დე ბური ჯერ კიდევ ევროპამდე ამბობდა, სანაკრებო ფეხბურთს მალე გამოვეთხოვებიო და ალბათ, ასეც იქნება. ახლა ორივე ძმა, ფრანკი და რონალდი ყატარში აპირებენ კარიერის დასრულებას.

სამედიცინო შემოწმების მერე კი ფრანკი სასტუმროში ყავარჯნებით დაბრუნდა. მტკივანი ფეხით დაბიჯებაც კი უჭირდა. ძვალი გაბზარული აღმოაჩნდა.

ახლა ადვოკაატს თავსატეხი გაუჩნდა — ვინ ათამაშოს დაცვის ცენტრში. იაპ სტამს ბუმა შეუწყვილოს თუ ჰეიტინგა. ორივენი კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ დე ბურისთანა გამოცდილება, ცხადია, არ აქვთ. თანაგუნდელების დამოძღვრაც არ შეუძლიათ, როგორც ამას დე ბური აკეთებდა.

ალბათ, სასტარტო შემადგენლობაში ერთი ცვლილებაც იქნება: ვან დერ მეიდე, ვისი თამაშითაც მეოთხედფინალში ადვოკაატი უკმაყოფილო დარჩა, შესაძლოა, მარკ ოვერმარსმა შეცვალოს.

სამხრეთ პორტუგალიაში არის პატარა ქალაქი ალბუფეირა, ამ ქალაქში კი არის სასტუმრო „შერატონი“, რომელშიც დაბანაკებულია ჰოლანდიის ნაკრები. სასტუმროს წინ უკვე მერამდენე დღეა, ჯგროდ დააბოტებენ ნარინჯისფერ მაისურებში გამოწყობილი ადამიანები, შიგნით სასტუმროში კი მათ არ უშვებენ. ესენი უბილეთო ჰოლანდიელები არიან, რომელთაც ვერაფრით წარმოუდგენიათ, ჰოლანდია ნახევარფინალში თუ გავიდოდა და ბილეთებზე დროულად არ იზრუნეს, ხოლო როცა მოიკითხეს, ბილეთები სადღა იყო. ახლა ისინი იქ, სასტუმროს წინ დგანან და სასწაულს ელიან: გამოვა სასტუმროდან დიკ ადვოკაატი ან რომელიმე ფეხბურთელი და ეტყვის, აჰა, ბილეთებიო. სასწაულები, მოგეხსენებათ, ძალიან იშვიათად ხდება. სამაგიეროდ, მაინც კმაყოფილები არიან ჰოლანდიური ავიაკომპანიები. მათ ბილეთების გაყიდვის პრობლემა არ აქვთ და სულაც არ ადარდებთ, მათი ჩარტერებით პორტუგალიაში ჩაფრენილი ჰოლანდიელები როგორ იშოვიან დიდი მატჩის ორ ბილეთს.

ეუსებიომ ჰოლანდიელებზე თქვა: „ჩვენ უძლიერესი მეტოქე გვყავს. რა თქმა უნდა, ნახევარფინალში ჰოლანდიელები იღბლის წყალობით გავიდნენ. ყოველთვის ვამბობდი, პენალტების სერიაში რომ გაიმარჯვო, იღბალი შენსკენ უნდა იყოსო“.

ეუსებიოს არაფერი უთქვამს თანამემამულეთა იღბალზე. აკი, პორტუგალიაც პენალტებით გავიდა ნახევარფინალში, მაგრამ ახლა სხვა რამის თქმა გვსურს. კერძოდ, რა ხდებოდა ჰოლანდიელთა სათადარიგო სკამზე, როცა შვედებთან 120 წუთი უგოლოდ მიილია და საქმე პენალტებამდე მივიდა.

აღმოჩნდა, რომ ფილიპ კოკუ ცივ უარზე იყო, ვერ დავარტყამო და მწვრთნელის თხოვნას მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ კაპიტნის სამკლავური ეკეთა და მისი შიში შეესაძლოა, სხვებსაც გადასდებოდათ. მერე კი ხომ იცით, რაც მოხდა — კოკუ გამოექანა და ძელს გაარტყა? რა იყო ეს, ავი წინათგრძნობა? შესაძლოა, თუმც მეორე მხრივ, რობენიც უარზე ყოფილა და ძლივს დაითანხმეს. ჰოლანდია კი ნახევარფინალში სწორედ რობენის გოლის მერე გავიდა.

და ერთიც, თურმე კლარენს ზეედორფი იხვეწებოდა, დამარტყმევინეთო, მაგრამ არ დაანებეს — მას პენალტისტის რეპუტაცია წამხდარი აქვს.

ფორთოხალი ფინალამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ვირი

გიო ახვლედიანი ლისაბონიდან

პორტუგალიას თავი უკვე ფინალში ჰგონია, მეტიც, პორტუგალია თავს ჩემპიონად თვლის, ოღონდაც ამას არ ამხელს.

რეალურად კი პორტუგალია მხოლოდ ნახევარფინალშია და წინ ჰოლანდიის ნაკრები უდგას. შეიძლება ითქვას, რომ ევროპის პირველობების მარადი ნახევარფინალისტი.

პორტუგალიის სახელმწიფო ტელევიზიას ჩემპიონატის გაშუქების მეტად ორიგინალური ხერხი მოუგონია: ფეხბურთზე ლაპარაკი სტუდიებში კი არ მიმდინარეობს, არამედ იმ ქალაქების მოედნებზე, სადაც იმ საღამოს ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში გაიმართა. თოკებით გადაღობილ ადგილას ანალიტიკოსები სხედან და მიდის ტკბილი ლაპარაკი, ხშირად ნაირგვარ ენებზედაც. ასევე ხშირია ჩართვებიც სამყაროს ნაირგვარი ადგილებიდან, სადაც იქაური გულშემატკივრები და მწვრთნელები თავიანთ აზრს გამოთქვამენ ჩემპიონატის შესახებ. მარადიული სტუმარი ღამის საფეხბურთო პროგრამაში ორია, განთქმული პაულუ სოუზა, რომელსაც ორჯერ მოუგია ჩემპიონთა თასი სხვადასხვა გუნდებთან ერთად და შავტუხა ფეხბურთელი ოსიანუ, რომელიც თქვენც გეხსომებათ პორტუგალიის ნაკრებიდან, ოღონდაც, ოსიანუს თავზე ვარსკვლავი ახატია.

ამ ვარსკვლავს შევეშვათ, და პორტუგალიელები ძალიან მშვიდად და ყოველგვარი ბრავადის გარეშე ლაპარაკობენ თავიანთ ნაკრებზე. ერთადერთი სახალხო აღტყინების საგანი მეკარე რიკარდუს კლიპია, რომელიც კვლავაც რჩება ტელევიზიების ნომერ პირველ სიუჟეტად.

პორტუგალიელები მშვიდად ელიან ნახევარფინალს და საერთოდ, ამ ერისთვის დამახასიათებელია ღირსეული მოლოდინი, თუმცა ამ მოლოდინს უკან შინაგანი შფოთვაც შეიმჩნევა. მაგალითად, ყველა ძალიან ღელავდა რუსეთთან თამაშის წინ, ბუტბუტებდნენ, ოხ, ძნელია რუსეთიო. ოღონდაც ნაკრებმა თავზე ხელი აიღო და თავისი თამაში იპოვნა. ერთადერთი სწორი და ნაღდი თამაში, პორტუგალიელებს რომ შეუძლიათ.

ოპონენტებმა შეიძლება თქვან, სულ სხვაგვარი თამაშით მოიგო ჩემპიონთა თასი „პორტუმო“, მაგრამ ის საკლუბო ფეხბურთია. ინგლისს, გერმანიას, იტალიას, ესპანეთს საუკეთესო და მაღალი დონის ჩემპიონატები აქვთ, ვარსკვლავები, ტელევიზია, დიდი ბრძოლები, ტაქტიკური ჭიდილები და ამ ოთხივე მთავარი ქვეყნის ნაკრები ადრევე გაემგზავრა შინ. თქვენა გგონიათ, „პორტუ“ ისევე თამაშობდა საშინაო ჩემპიონატის თამაშებს, როგორც ჩემპიონთა ლიგაში? ამიტომ, პორტუგალიას ეს პლუსი ნამდვილად აქვს, რომ მისი ფეხბურთელები ცოტანი არიან ევროპის მოწინავე ლიგებში და თუ არიან, იქაც მხოლოდ ფიგუ თუ გამოჩნდება მოწინავე პოზიციებზე. კრისტიანო რონალდო მეთორმეტე კაცია „მანჩესტერში“, რუი კოშტა ასევე მეთორმეტეა „მილანში“. ამით იმის თქმა მინდა, რომ ვინც ნაკლებად გიჟურ კალენდარშია, ის უკეთ გამოიყურება.

ეგებ აქ გამონაკლისად ჩანდეს ჰოლანდიის ნაკრები, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჰოლანდიელები კერძო ოსტატობის ხარჯზე გადიან ფონს და გუნდად დიდ არაფერს წარმოადგენენ. თუმცა, ჰოლანდიას შეუძლია, რომ ერთი დიდი თამაში მოახდინოს, თორემ ჰა, რას გავდა დავიდსი შვედებთან მატჩში?

პორტუგალიელები მშვიდად ელიან-მეთქი. თუმცა, რაგვარი მღელვარება იმალება ამ გარეგნული სიმშვიდის უკან, ყველას მოეხსენება. თუ გახსოვთ, ინგლისთან პენალტებისას რა დღეში იყო ეს დროული და პატივცემული ეუსებიო? უეფას კოსტუმში გამოწყობილი, ის ცალკე, მშფოთვარედ არიგებდა ჭკუას მეკარე რიკარდუს და მერე, როცა რიკარდუმ ორჯერ ზედიზედ იმარჯვა, მოედანზე შევარდა. შევარდა, ფეხი აერია და წაიქცა. ეუსებიო, მსოფლიოს უსწრაფესი ფეხბურთელი ორმოცი წლის წინათ, ძუნძულისას წაიქცა. ცხადია, მღელვარების გამო.

დიახ, პორტუგალია ღელავს. მის წინ დევს დიდი და ამოუცნობი ფორთოხალი.

ჰოლანდიელთა გუნდი არ არის მწყობრი არც მინდორზე და არც გარეთ. თვითონ დიკ ადვოკაატი უფრო რაღაცის დირექტორს ჰგავს, ვიდრე მწვრთნელს და ფეხბურთელებისგან მხოლოდ იმ უფლებით განსხვავდება, რომ მათგან სამის შეცვლა შეუძლია. ამ შეცვლებზეც ისეთ ამბავს დააწევენ ხოლმე, რომ... ჩეხებთან არიენ რობენის მინდვრიდან გაყვანა დიკს ლამის იყო საბოდიშო გაუხდა. რას მოახერხებს ჰოლანდიის ნაკრები მასპინძლებთან მატჩში, ძნელი მისახვედრია. ახალი ფეხბურთის სამშობლო ახალი ფეხბურთის სამშობლოა.

პორტუგალია კი შესცქერის ლუიშ ფელიპე სკოლარის. მის ყოველ სიტყვას ახლა ოქროს ფასი აქვს. და ისიც ლაპარაკობს ნერვულად, ხელების ქნევით, გულწრფელად. ხან გულზე მიიდებს ხელებს, ხან შუბლზე დაიდებს, ყველაფრის ახსნას ცდილობს და თითქოს არც არაფერს ხსნის. კაცი, რომელსაც ორი კვირის წინათ მაინცდამაინც დიდი სიმპათიით არ მოიხსენიებდნენ, თვალსა და ხელს შუა ხდება ეროვნული გმირი. ეს უცნაური ამბავია, ძალიან უცნაური.

ბრაზილიელი მწვრთნელი ევროპაში, აქაურ მხაზველთა და ინტელექტუალთა წინააღმდეგ. კაცი, რომელსაც მუსოლინისტი მშობლები ჰყავდა და კაცი, რომელმაც შექმნა ცუდი ბიჭები პორტუ ალეგრიდან, ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბი „გრემიო“, განთქმული უხეში და ვერაგი თამაშით, კაცი, რომელიც გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და რომელსაც ვირს უწოდებენ.

ეს კაცი ახლა ნაციის მესაჭეა.

იშვიათია ლუიშ ფელიპე სკოლარის საფეხბურთო ყისმათი. მაგალითად: ორი შეცვლა ინგლისთან და ორივე შემცვლელის თითო გოლი. რუი კოშტას გოლი, ელდერ პოსტიგას გოლი. თანაც, ლუიშ ფიგუს მოხსნა სწორედაც რომ გადამწყვეტ მომენტში. ბარე ორი ქართველი მწვრთნელისგან გაგვიგონია, შეცვლა ლატარიააო, მაგრამ ხომ ყოფილან ვილაცეები, ვინც ნარამარა იგებს ამ ლატარიებს?! ეგრე პენალტებიც ლატარიაა, მაგრამ იშვიათად ნახავ, რომ კაცმა ხელთათმანები გადაყაროს და ისე ჩადგეს კარში, შიშველი ხელებით მოიგერიოს პენალტი და მერე თავადვე გაიტანოს.

ეს არ არის მთლად ლატარია.

სკოლარის, ისევე როგორც ვენგერს, რეჰაგელს, ფერგიუსონს, საოცარი ინტუიცია აქვს. დასჭირდა და მოხსნა ნახევარდაცვა, გუნდი 4-2-4-ზე გადაიყვანა. დეკო ფლანგზე. მიდი და იფიქრე, თუ სკოლარი ან მისი მაშტაბის კაცი არა ხარ.

ჰოდა, ამ სიცხეშიც პორტუგალია ელის ფორთოხლის გაჭრას. ჩვენც ვნახოთ, რა გამოვა. ლისაბონის სტადიონები იღბლიანია მასპინძელთათვის. აგრილებულზე მთლად კაი თამაში გამოვა. პორტუგალიის სისწრაფე, ჰოლანდიის ჰოლანდიობა.

ამ ჯერზე ჰოლანდიას პენალტებში გაუმართლა

აჯობეთ ჩეხებს დროულად

პენალტების სერია ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ვერც ვერავინ ამბობს თუ პენალტებით არა, მაშ, როგორ უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული, როდესაც ორი გუნდი დამდგარა და ერთმანეთისთვის თამაშით ვერ დაუმტკიცებია უპირატესობა და კიდევ, ფეხბურთელები რომ ვერ იტანენ ერთია და აბა, მთელი მსოფლიოს მილიონობით მაყურებელს ჰკითხეთ, გაერთო თუ არა?

ევროპის ჩემპიონატების ისტორია აქამდე იმას მეტყველებდა, რომ ყველაზე ხელმოცარული მოპენალტე ნაკრები ჰოლანდიელებს ჰყავდათ. მათ სამჯერ ჰქონდათ დარტყმული მატჩისშემდგომი პენალტების სერია და სამივეჯერ მარცხი ჰქონდათ ნაწვნევი. კერძოდ, 1992 წელს „ორანიე“ ნახევარფინალში შეხვდა დანიას და სწორედ პენალტებით დამარცხდა. მაშინ ისეთმა დიდმა ვარსკვლავმა ააცილა, როგორიც მარკო ვან ბასტენი გახლდათ. 1996-ში ჰოლანდიამ საფრანგეთთან წააგო. ეს მეოთხედფინალში მოხდა და გადამწყვეტი პენალტი კლარენს ზეედორფმა ააცილა. მაშინ ამ აცილებულ პენალტს ჰოლანდიელთა ბანაკში დიდი ურთიერთგაკილვა და შინააშლილობა მოჰყვა. ხოლო, რაც მოხდა ევრო 2000-ზე, ეს ხომ საერთოდ სასწაულთა სასწაულს შეიძლება მივაკუთვნოთ. ჰოლანდიამ ხუთიდან მხოლოდ ერთი გაიტანა, პლუს თამაშის დროსაც ააცილა.

და აი, მხოლოდ ახლა, ევრო 2004-ზე შეებრალა ფორტუნას „ორანიე“, როდესაც მეოთხედფინალში შვედებთან მოაგებინა.

პენალტების მეფეები კი ჩეხები არიან. ამ ქვეყანაში არასდროს დაივიწყებენ 1976 წელს პანენკას დარტყმულს გფრ-ს კარში, 1980 წლის ბრძოლას მესამე ადგილისთვის და 1996 წლის ნახევარფინალს ფრანგებთან.

და სწორედ ჩეხებს ჰქონდათ ყველაზე დიდი ანგარიში 1980 წელს — 9:8.

დანარჩენი ცხრილის სახით მოვიტანოთ. წინ დავწეროთ გამარჯვებული გუნდი

პაპუნა კედია

1976	ფინალი	ჩეხეთი	გერმანია
1980	მესამე ადგილი	ჩეხეთი	იტალია
1984	ნახევარფინალი	ესპანეთი	დანია
1992	ნახევარფინალი	დანია	ჰოლანდია
1996	მეოთხედფინალი	ინგლისი	ესპანეთი
1996	ნახევარფინალი	საფრანგეთი	ჰოლანდია
1996	ნახევარფინალი	გერმანია	ინგლისი
1996	ნახევარფინალი	ჩეხეთი	საფრანგეთი
2000	ნახევარფინალი	იტალია	ჰოლანდია
2004	მეოთხედფინალი	პორტუგალია	ინგლისი
2004	მეოთხედფინალი	ჰოლანდია	შვედეთი

შედი და გაიტანე!

მწვრთნელებზე რას ამბობენ? თამაშის დროს ვინც უფრო საზრიანად ცვლის ფეხბურთელებს, ის უფრო ძლიერია, ხომ? მაშინ, ევრო 2004-ზე ყველაზე დიდი მწვრთნელი პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელი თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი ყოფილა. დახეთ, საინტერესო ფაქტს: პორტუგალიელთა ევროგოლებიდან ერთადერთი, სასტარტო შემადგენლობის წევრმა რომ გაიტანა რუსეთის კარში, მანიშეს დამიზნებული გახლდათ, ყველაზე სასარგებლო, ასპროცენტიანი სათადარიგო მოთამაშე კი რუი კოშტა გამოდის, რომელიც, სულ ორჯერ, რუსეთთან და ინგლისთან შევიდა მოედანზე და ორივეჯერ მიზანს მიაღწია.

ძალიან კარგი მაჩვენებელი აქვთ ჩეხებსაც. D ჯგუფის შეხვედრებიდან მათ შეცვლაზე შესული ფეხბურთელის გოლის გარეშე ერთიც არ ჩაუტარებიათ.

ქვემოთ ჩამოვწერეთ, რომელ ქვეყანას სულ რამდენი გოლი აქვს გატანილი და აქედან რამდენი აქვს გატანილი შეცვლაზე შესულ ფეხბურთელს.

პაპუნა კედია

პორტუგალია	6	5
ჩეხეთი	7	3
შვედეთი	8	1
ჰოლანდია	6	1
დანია	4	1
ესპანეთი	2	1
ინგლისი	10	0
საფრანგეთი	7	0
საბერძნეთი	5	0
ხორვატია	4	0
იტალია	3	0
გერმანია	2	0
რუსეთი	2	0
ბულგარეთი	1	0
ლატვია	1	0
შვეიცარია	1	0

შევიდა ელდერ პოსტიგა ინგლისთან შეცვლაზე და ის გოლი გაიტანა, პორტუგალია ნახევარფინალისკენ რომ გაახედა

თუ დავალაგეთ, ასეა!

მაშ ასე, გაილია ევროპის ჩემპიონატის 28 მატჩი და შეჯიბრებას მხოლოდ ოთხი გუნდი შემორჩა. არადა, თავიდან პორტუგალიის მოედნებს 16 ნაკრების 368 ფეხბურთელი იყო მოდებული, რომელთაგან ყველაზე მეტი, 58 ინგლისის ჩემპიონატს წარმოადგენდა, ხოლო 50 გერმანიისას

დღეს, როდესაც 12 გუნდი უკვე შინ არის, სურათი, ბუნებრივია, შეიცვალა. ამჟამად ევრო 2004-ზე პორტუგალიისა და საბერძნეთის ჩემპიონატებში მონაწილე ფეხბურთელები დომინირებენ. სხვათა შორის, იმასაც კი ამბობენ, რომ ამ ორი ქვეყნის ნაკრები თავიანთი კლიმატის გამო შემორჩა შეჯიბრებას ანუ ჩემპიონატი პორტუგალიაში ტარდება, იქაურ სიცხეს კი ადგილობრივი ფეხბურთელები, ბუნებრივია, სხვებზე უკეთ იტანენ, ხოლო ბერძნებს საბერძნეთში დაახლოებით იგივე კლიმატი აქვთ. ასე რომ, ისინიც ნაჩვევნი არიანო.

სხვათა შორის, ნახევარფინალში, ინგლისისა და გერმანიის ჩემპიონატებზე უკეთ იტალიური სერია A არის წარმოდგენილი. საერთო სურათი კი მოდით, ცხრილის სახით ჩამოვაყალიბოთ ანუ ჩამოვწეროთ ქვეყნები და თითოეულს მივაწეროთ ჯერ ფეხბურთელთა (თავიანთი პლუს ლეგიონერები) საწყისი რიცხვი, ხოლო შემდეგ ნახევარფინალში რამდენი წარმომადგენელი დარჩა.

პაპუნა კედია

პორტუგალია	20	17
საბერძნეთი	16	15
იტალია	47	11
ინგლისი	58	10
ესპანეთი	36	10
ჰოლანდია	16	8
გერმანია	50	7
ჩეხეთი	5	5
საფრანგეთი	21	4
რუსეთი	27	2
ბულგარეთი	11	0
ლატვია	11	0
შვეიცარია	10	0
დანია	7	0
შვედეთი	4	0
ხორვატია	1	0

პრიმერადივიზიონელთა ოთხი გოლიდან სამი ზინედინ ზიდანისა იყო

პრემიერმა პრიმერა დაჩრდილა

ერთით ნამდვილად კმაყოფილები უნდა იყვნენ ინგლისელები, ევრო 2004-ზე ყველაზე მეტი გოლი პრემიერლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებმა გაიტანეს. დღეისთვის სამივე ბომბარდირი, ჩეხი მილან ბაროში, ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროი და ინგლისელი უეინ რუნი პრემიერლიგურ კლუბში თამაშობს.

და, როგორც მოსალოდნელი იყო, პრემიერლიგას მოსდევს სერია და ბუნდესლიგა, თუმცა თვალშისაცემია, რომ აქ, ჩამონათვალის სათავეში არ არის ესპანური ლა ლიგა. პრიმერადივიზიონელებმა სულ ოთხი გოლის გატანა მოახერხეს ევრო 2004-ზე, ამ ოთხიდან სამი ზინედინ ზიდანისაა და ერთიც ხუან კარლოს ვალერონის.

საინტერესოა, რომ ესპანეთის ჩემპიონატმა მხოლოდ ერთი გოლით გაუსწრო შოტლანდიურ პრემიერლიგას, თუმცა სქოთთა ეს მაჩვენებელი მაინც სპეციფიკურია — სამივე გოლი ჰენრიკ ლარსონმა შეაგდო.

პაპუნა კედია

ინგლისი	28
იტალია	14
გერმანია	9
ჰოლანდია	4
ესპანეთი	4
შოტლანდია	3
ჩეხეთი	2
საფრანგეთი	2
პორტუგალია	2
რუსეთი	2
უკრაინა	1

ბრუკნერს დაცვაში რეჰაგელი მოსწრება

როსიცკი თამაშ-თამაშით სწავლობს

ჩეხეთმა დანიას სამი გოლი რომ გაუტანა, ცხადია, კარელ ბრუკნერს ესიამოვნა, მაგრამ მწვრთნელს არანაკლებ გაუხარდა მცველთა მწყობრი თამაში, რომლებმაც „ვიკინგთა“ ფორვარდები საიმედოდ ამოკეტეს. მხცოვანი თავკაცი განსაკუთრებით შეცვლაზე შესული ზდენეკ გრიგერას გარჯით მოიხიბლა.



კარელ ბრუკნერი მილან ბაროშს ალბათ, ბერძენთა კარის გზას ასწავლის

მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში სორენსენის კარში ჩეხებმა ბურთი სამჯერ შეაგდეს და გამარჯვებულიც, ფაქტობრივად, მაშინვე გაირკვა, თუმც კარელ ბრუკნერის აზრით, წარმატებას საფუძველი პირველ ტაიმში ჩაეყარა: „დაცვამ დავალება ფრიადზე შეასრულა. დანიელები 45 წუთის მანძილზე გვიტევდნენ და დაიქანცნენ. მთავარი იყო, რომ შესვენებამდე არ გაგვეშვა“.

39-ე წუთზე მარტინ ჟირანეკი დაშავდა და მწვრთნელს დაუგეგმავი ცვლილება დასჭირდა — ჟირანეკის მაგივრად ზდენეკ გრიგერა შეუშვა. „მან ბრწყინვალედ ითამაშა — განაგრძო ბრუკნერმა — ჰოლანდიასთან შეხვედრაში ზდენეკი რამდენჯერმე შეცდა და 25-ე წუთზე შევცვალე. მაშინ გავუბრაზდი, ამჯერად კი ქება დაიმსახურა“.

გრიგერას გამოკეთება მეტად დროულია ჩეხებისთვის, რადგან მარტინ ჟირანეკს მუხლის მყესები დაუზიანდა და ნაკრებს ველარ დაეხმარება. დანიასთან შეხვედრაში ცენტრალური მცველი რენე ბოლფიც დაშავდა და სახვალიოდ თუ ვერ მომჯობინდა, მის ადგილს დავიდ როზენალი დაიკავებს.

კარელ ბრუკნერის გუნდი ბერძნებთან ფავორიტად ითვლება, ჩეხი ქომაგები უკვე ფინალზე ბჭობენ, თავად მწვრთნელი კი სხვაგვარად ფიქრობს: „საბერძნეთმა მასპინძლებიც დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი ფრანგებიც, ამიტომ არ ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ ოტო რეჰაგელის გუნდი მხოლოდ მეტოქის იერიშების ჩაშლაზე თამაშობს და თავად არ უტევს. პორტუგალიასთანაც ჭკვიანურად უტევდნენ, თან ერთი უპირატესობაც აქვთ — ჩვენზე მეტხანს დაისვენეს“.

ბრუკნერს პაველ ნედვედიც დაეთანხმა: „ყველაფერს კვლავ ნულიდან ვიწყებთ და ფრანგთა შეცდომების გამეორების უფლება არ გვაქვს“.

ტომაშ როსიცკის აზრით, ნახევარფინალში გასვლას და ზოგადად ამ ჩემპიონატზე წარმატებულ თამაშს ჩეხები ორ გამოცდილ კაცს — პაველ ნედვედს და კარელ პობორსკის უნდა უმადლოდეს. მილან ბაროშმა დანიასთან გოლები მათი პასებით გაიტანა.

დორტმუნდის „ბორუსიის“ ლეგიონერი გამთამაშებელია, პობორსკი მარჯვენა, ნედვედი კი მარცხენა ფლანგზეა გამწესებული. საყრდენობას ტომაშ გალაშეკი კისრულობს და როსიცკიც ამ ტრიოსთან თავს ლაღად გრძნობს: „ასეთი დონის ფეხბურთელებთან მხარდამხარ თამაში ძალიან სასიამოვნოა. პობორსკის „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბენფიკა“ და „ლაციო“ აქვს მოვლილი, ნედვედი ხომ შარშან ევროპაში საუკეთესოდ აღიარეს, ამიტომ მათგან ყოველდღიურად რაღაცას ვსწავლობ. ევრო 2000-ზე გამოუცდელი ვიყავი, ახლა კი მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ამჟამად ჩვენ კარგი გუნდური თამაშით შეგვიძლია დავიტრაბახოთ, ეს კი თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, ბერძნებთან მატჩი დანიელებთან შეხვედრისგან ძალიან განსხვავებული იქნება. ნახევარფინალში უკვე გაცილებით მეტი სიფრთხილე გვმართებს“.

2002 წელს ჩეხეთი საბერძნეთს სტუმრად ამხანაგურად გაეჯიბრა და შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. აღსანიშნავია, რომ კარელ ბრუკნერის ნაკრებმა დღემდე გამართულ 28 მატჩში მხოლოდ სამ მეტოქეს ვერ გაუტანა გოლი. მათ შორის იყო საბერძნეთიც. თავად ბუნდესლიგელმა როსიცკიმ ელინები ასე შეაფასა: „გერმანელი მწვრთნელის ხელი მათ აშკარად დაეტყოთ, რადგან თითქმის უშეცდომოდ თამაშობენ“.

ვაჟა ხუციშვილი

დაეხმარეთ ნედვედს

ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას თხოვნით მიმართა, პაველ ნედვედს დანიასთან მატჩში მიღებული ყვითელი ბარათი გაუუქმეთო.

„იუვენტუსის“ ლეგიონერი ვალენტინ ივანოვმა შეხვედრის 61-ე წუთზე, იესპერ გრონკიერთან შეჯახების შემდეგ გააფრთხილა. ამგვარად კარელ ბრუკნერს 5 „გაყვითლებული“ ფეხბურთელი დაუგროვდა. მწვრთნელს, ცხადია, ხუთიდან ყველაზე მეტად პაველ ნედვედი ადარდებს. ხვალ მეორე გაფრთხილებაც რომ მიიღოს, ფინალში გასვლის შემთხვევაში უმთავრესი მოთამაშე დააკლდება.

ჩეხეთის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა პეტრ ფუშეკმა განაცხადა, ჩვენი თხოვნა ოფიციალური არ არის, რადგან უეფას სადისციპლინო წეს-კანონები ასეთ განხილვას არ ითვალისწინებსო.

„ივანოვი აშკარად შეცდა. ეპიზოდი განმეორებით ნახონ და თავად დარწმუნდებიან, რომ ნედვედი უბრალოა“ — თქვა ფუშეკმა.

უეფა ჩეხთა თხოვნას, სავარაუდოდ, დღეს განიხილავს. პაველ ნედვედმა შარშან ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვა, რადგან მადრიდის „რეალთან“ საპასუხო მატჩში მიღებული გაფრთხილება მისთვის მეორე გამოდგა და უჩეხო „იუვენტუსი“ „მილანთან“ პენალტებით დამარცხდა.

ვაჟა ხუციშვილი



ჰიცფელდმა პრეზიდენტს ცოლი და 10 დღე სთხოვა

ბუნდესნაკრების ახალი მწვრთნელი ალბათ ოტმარ ჰიცფელდი იქნება. გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ ფორფელდერი „ბაიერნის“ ყოფილ თავკაცს სევილიის ერთ-ერთ სასტუმროში შეხვდა. მათ ორ საათზე მეტხანს ისაუბრეს. გაირკვა, რომ ჰიცფელდი ცოლს უნდა დაეკითხოს და მერეღა გადაწყვეტს.

„ბეატრისს აუცილებლად ვკითხავ, რადგან ჩვენ სულ სხვა გეგმები გვქონდა. დასვენებას ვაპირებდით და ახლა ყველაფრის შეცვლა მოგვიწევს. პასუხს ათი დღის შემდეგ ვიტყვი“ — განაცხადა მწვრთნელმა, მისმა ცოლმა კი თქვა: „წინააღმდეგი ვარ, მაგრამ თვითონ თუ მოინდომა, ხელს არ შევუშლი“. რაც შეეხება გადამდგარ მწვრთნელ რუდი ფიოლერს, აიბარგა და სამხრეთ ამერიკაში დასასვენებლად გასწია მეუღლესთან ერთად. იქ მას მეგობარი ბოდო ილგნერი ელის, რომელიც ასევე ცოლითურთ ეფიცხება მზეს და ფიოლერთან ერთად აღარ მოიწყენს.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროხზლისი 2004

ღმერთო, რა ლენჩია?!

სერენა პორტუგალიას შეტლიკინა



ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, სერენა უილიამსი ფეხბურთმა ისე გაიტაცა, რომ უიმბლონზე წვიმას დიდი სიხარულით შეეგება. წვიმის დროს ტელევიზორის ჩართვა და საფეხბურთო რეპორტაჟის ცქერა შეიძლებოდა, მაგრამ...

„თავს გაძარცვულად ვგრძნობ. რა ვქნა? იმედი მაქვს, პორტუგალია ჩემპიონი ვერ გახდება, მე კი ამ ტურნირის ერთ თამაშსაც აღარ ვნახავ. ინგლისის ასე წაგებამ გული გამიხეთქა. თვალებს არ ვუჯერებდი, როგორ ამოაცალეს ჯიბიდან გამარჯვება...“ — აღშფოთებულა უილიამსი.

და კიდევ ერთი ამერიკელი ჩაითრია არაამერიკულმა შეჯიბრებამ.

„თვალს ვერ ვწყვეტ ჩემპიონატს. თამაშებს პირველიდან ბოლო წამამდე ვუყურებ, საქმეღადაც არ გავდივარ. რამ გამაოცა იცით? მთელი ქვეყანა როგორ ანებებს მუშაობას და საქმეებს თავს, რათა თავის ნაკრებს დაუჭიროს მხარი. აშშ-ში ასეთს ვერც წარმოვიდგენდი“ — თქვა ენდი როდიკმა.

პორტუგალიელმა პედერასტებმა თავიანთი ნაკრების ყველაზე ვნებიან მოთამაშედ კრისტიანო რონალდო დაასახელეს. ეს გამოკითხვით გახდა ცნობილი. 19 წლის გარემარბი მამათმავალთა 14-მა პროცენტმა მოიწონა სხვებზე მეტად. მეორეზე ნუნუ გომეში გავიდა, მესამეზე პაულეტა.

შარშან პირველ ადგილზე მყოფი ლუიშ ფიგუ წლეულს მხოლოდ 9 პროცენტს დასჯერდა, ხოლო ყველაზე ცუდი „საიმსაქმოდ“ დეკო ყოფილა.

ჟურნალისტების შეხვედრები საფეხბურთო სამყაროსთვის ახალი არ არის, ასეთ თამაშებში ქართველებიც მონაწილეობენ ხოლმე, თუმცა ახლა პორტუგალიელი და ინგლისელი ჟურნალისტების თამაშზე გვაქვს ლაპარაკი. ეს მატჩი ნაღდი პორტუგალია-ინგლისის წინ გაიმართა და მისი ძირითადი დრო 4:4 დასრულდა. პენალტებში ინგლისელებმა მოიგეს.

„ინგლისელებს პენალტით მოგება ყოველთვის გვიჭირს, მაგრამ ჩვენმა ჟურნალისტებმა ნამდვილი პროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს“ — განახადა 1996 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ჯეფ ჰერსტმა, რომელიც ინგლისური მედიის საფეხბურთო გუნდს ხელმძღვანელობდა.

და კიდევ პენალტებზე, ოღონდ ნაღდზე: მოგეხსენებათ, ჰოლანდიამ, რომელიც ტრადიციულად მარცხდებოდა, ნავსი გატეხა და შვედებს მოუგო, ოღონდ როგორ, გაუგებარი დარჩა, რადგან:

„ჩვენ ერთი წიგნის წაკითხვა გვირჩიეს და დავუჯერეთ“ — თქვა ჰოლანდიელების მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა.

უკრაინის ტელევიზიამ ევროპის ჩემპიონატის შეხვედრების კომენტირება აუკრძალა თავის თანამშრომელ დმიტრი ბულაის, რომელმაც პორტუგალიისა და ინგლისის მეოთხედფინალური მატჩის ტრანსლაციის დროს ბექემის მისამართით ამოიძახა: ღმერთო, რა ლენჩია!

არხის ხელმძღვანელობამ ეს გამონათქვამი დაუშვებლად მიიჩნია და ბულაი დაითხოვა.

მეოთხედფინალში საბერძნეთის გამარჯვებამ დიდი ზეიმი გამოიწვია ლისაბონში, ათენსა და... სიდნეიში, სადაც ბევრი ბერძენი ცხოვრობს. იქ, თურმე თამაშის დამთავრების მომენტში დილის ხუთი საათი სრულდებოდა. ქალაქში გაივსო ბარები, ქომაგები მატჩს ქუჩებში უცქერდნენ.

ამბობენ, ავსტრალიაში მცხოვრებმა ბერძნებმა შაბათამდე იქეიფესო.

ამი სიტყვა

ატმისა და მყმფარე ჩეხის ამბავი

ეჰ, ეჰ, ეჰ! რა მწიფე ატამივით გუნდები გამივარდნენ?! რა დარჩა? ვინ დამრჩა? თანამედროვე ფეხბურთი დამბლადაცემული რომ იყო კი ვიცოდი, მაგრამ ასე ცუდად თუ წავიდოდა საქმე, რას წარმოვიდგენდი. ჯერ ნახევარფინალია და უკვე ყველაფერი გარკვეულია. აბა, ნახეთ, გადარჩენილ გუნდებზე სიმართლეს რომ ვიტყვი, ვინმე თუ აღშფოთდება, ადრე კი ხომ გახსოვთ, რა ამბავი იყო. რას მიქვიან ჩემი ინგლისი, ჩემი იტალია და ჩემი გერმანია გამიკრიტიკესო. ეჰ და ეჰ! სალაპარაკოც არაფერია. მაგას ჯობია მართლა მწიფე ატამზე ვილაპარაკო, აი, ხომ არის ხალხი, ატმის ბუსუსებს რომ ვერ იტანს, იმათ მინდა წარმოიდგინონ, რომ ხელში უჭირავთ გაუთლელი ატამი, აბა, ამ ჩემპიონატის ცქერას იმ ატმის ჭერა აღარ ჯობია?

ჩეხეთი ხვდება საბერძნეთს, ხომ? ნუ, მერე? რას ელით ჩემგან, რა ვთქვა, რომ ძალიან მაგარი გუნდები დაეჯახნენ? რაკილა ნახევარფინალში გავიდნენ? რეჰაგელი მაგარი მწვრთნელი იმიტომ არის, რომ ფრანგებთან პერსონალური დაცვის მივიწყებული წესი გამოიყენაო. ვაჰ, ჩემი კუჭი ვჭამე, რა! რა მნიშვნელობა აქვს, რა წესით შეუშლი მოწინააღმდეგეს ფეხბურთის თამაშში ხელს, შენ თვითონ შეტევას ხომ მაინც ვერ თამაშობ. ვინმე პოეტს მაუზერით მოკლავ თუ ვალტერით მაგით შენ თვითონ პოეტი ხომ ვერ გახდები?

ნუ, ჩეხეთი კიდევ ისეთი გუნდია... უძაღლო ქვეყანაში აყეფებ კაცი. ჯანდაბას, ჩავთვალოთ, რომ ნედველი წაუპლატინებს, ბაროში წაუმიულერებს და რამე ეგეთი, სხვა მაინც არავინ და არაფერი არ არის.

იქითა ნახევარფინალში კიდევ პორტუგალია-ჰოლანდიაა და ამ თემაზე საერთოდ არ მინდა ლაპარაკი, იმიტომ, რომ ჰოლანდია თვითონ დაიბიჯებს ხორთუმზე ფეხს, პორტუგალიას კიდევ გაქაჩავენ. აბა, გაიხსენეთ ოვჩინიკოვის გაგდება და კემპბელის არჩათვლილი, ასპროცენტიანი გოლი — რა, პორტუგალია უნდა იყოს ახლა ნახევარფინალში?



ნუ, ჰოლანდიაში მწვრთნელს მარტო ცოლ-შვილი უჯერებს და ისინიც ფეხბურთს არ თამაშობენ...

ეჰ, ეჰ, ეჰ! ის გავარდნილი დანიაც სიაბანდია და თუ არა, თბილისში ნახავთ. ბოროტი ადამიანი ვიყო, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ქართველი ფეხბურთელების ნიჭისა მჯერა ან ალენ ჟირესი მაგარ მწვრთნელად მიმაჩნია, იმიტომ, რომ ვიკინგები თვითონ წაიტეხენ იმ რქებს. აგერ თქვენ და აგერ მე.

ეჰ!

მოჯიმ ყველაფერი იცის

მანჩინი ვიერის ვერ შეელევა

„იუვენტუსის“ სატრანსფერო საქმეთა გამგებელი, ლუჩანო მოჯი ამბობს, რომ ტურინელები კრისტიან ვიერის ყიდვით აღარ არიან დაინტერესებულნი.

შეგახსენებთ, რომ „იუვეს“ შეფებმა ერთი ხნის წინ „ინტერს“ მიმართეს წერილით, რომლითაც ვიერის შეძენის პირობებს იკვლევდნენ, თუმცა დღეს, როგორც ჩანს, მდგომარეობა შეიცვალა.

„კრისტიან ვიერი „იუვენტუსის“ ინტერესის საგანს აღარ წარმოადგენს — განაცხადა კლუბის გენერალურმ დირექტორმა — ვფიქრობ, იგი დარჩება იქ, სადაც აქამდე თამაშობდა, „ინტერში“. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „ინტერში“ რობერტო მანჩინი მიდის მწვრთნელად და შეუძლებელია ვიერი მისი ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ძალა არ იყოს“.

როგორც ჩანს, „ბებერმა ქალბატონმა“ ვიერის ყიდვაზე ხელი მას მერე აიღო, რაც ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს თხოვნით, ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ წასვლა გადაიფიქრა.

მოჯის, რომელსაც იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე ნებისმიერ ამბავთან დაკავშირებით საკუთარი აზრი აქვს, ევრო 2004-ის შესახებაც ჰკითხეს.

„ჯოვანი ტრაპატონი უსამართლოდ გააკრიტიკეს — თქვა მან — მას ძირითადად პარმელი ალბერტო ჯილარდინოს დატოვება არ აპატიეს, მაგრამ ვინც ფეხბურთის საკითხებში გარკვეულია, დამეთანხმებით, რომ თუ გუნდში ვიერი და ბერნარდო კორადი გყავს, ჯილარდინოს თვისებების მოთამაშე აღარ გჭირდება“.

ეს ინტერვიუ მოჯიმ პალერმოში ყოფნისას მისცა, სადაც ისიც ჰკითხეს, წაადგებოდა თუ არა სიცილიურ გუნდს სიმონე პეროტას ყიდვა.

„რატომაც არა, ვფიქრობ, კიევოელი „პალერმოსთვის“ ჩინებული შენაძენი იქნებოდა“ — მიუგო მოჯიმ, თუმცა პეროტა, ალბათ, მაინც „ინტერში“ ან „რომაში“ წავა.

პაპუნა კედია



რობერტო მანჩინი და კრისტიან ვიერი სეზონის დაწყებამდე ერთად ისვენებენ

ნიგერიული შვიდკაცა

ჩრისტიან ჩუკვუმ მინი ნაკრებიც ვერ შეერიბა

შაბათს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ნიგერია ალჟირს ხვდება, მაგრამ რად გინდა — მწვრთნელის, კრისტიან ჩუკვუს გამოძახებული 22 მოთამაშიდან საწვრთნელ ცენტრში მხოლოდ შვიდნი მივიდნენ.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აბსოლუტურად ყველა მოწვეულმა ფეხბურთელმა დაადასტურა, რომ შეუძლია ჩამოსვლა და ჩამოვა, ხოლო თუ საბოლოოდ მართლა შეიკრიბებიან, ეჭვი არ მეპარება ალჟირს დავამარცხებთ. მინდა მოგახსენოთ, რომ მეტოქის გუნდს კარგად ვიცნობ, რადგან 2004 წლის აფრიკის ერთა თასზე ვაკვირდებოდი და სწორედ ეს ცოდნა დამეხმარება სამი ქულის მოპოვებაში“ — განაცხადა ჩუკვუმ.

ალჟირი, ტუნისში გამართულ აფრიკის თასზე მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისებრ ჩრდილოაფრიკელ მაროკოსთან 1:3 წააგო.

რაც შეეხება შვიდი კაცის ამბავს, ბუნებრივია, ასე ცოტა ხალხით ნიგერიის ნაკრებმა ვერ ივარჯიშა და მწვრთნელმაც დაიქადნა, რომ დაგვიანებულებს დააჯარიმებს.

ჩუკვუს ასისტენტი ოსტინ ეგუავოენი: „ალჟირთან თამაშის შემდეგ თათბირის მოწვევა გვინდოდა, რათა ფეხბურთელებისთვის განგვემარტა, რომ შეკრებაზე ადრე მისვლა აუცილებელია. მათ თავის დროზე რომ არ დაეგვიანათ, რუანდას ან ანგოლას იოლად დავამარცხებდით“.

ნიგერიამ რუანდასთან 2:0 მოიგო, მაგრამ ანგოლასთან 0:1 დამარცხდა. ჯგუფში კიდევ გაბონი და ზიმბაბვეა.

პაპუნა კედია



ნიგერიელებს სასაცილოდ არ უნდა ჰქონდეთ საქმე

ფეხბურთის რუკასთან

იტალიის სერია A-ში დაბრუნებული „ფიორენტინა“ ცდილობს, დიდი რობერტო ბაჯო კარიერის გაგრძელებაზე დაიყოლიოს და ვეტერან ფეხბურთელს მშვენიერ კონტრაქტსაც სთავაზობს. იცით, ბაჯომ კარიერა სწორედ „იების“ რიგებში დაიწყო და კლუბის ახლანდელ პრეზიდენტ დიეგო დელა ვალეს იმედი აქვს, 37 წლის პლეიმეიკერი მშობლიურ გუნდში დაბრუნების ცდუნებას ვერ გაუძლებს და ფეხბურთიდან საბოლოო წასვლას ცოტა ხნით გადადებს.

ესპანური „ვალენსიას“ უფროსობა კლუბის ყოფილ თავკაც რაფაელ ბენიტესს სასამართლოში უჩივის. ისინი „ლივერპულში“ გადასულ მწვრთნელს კონტრაქტის შეწყვეტისთვის 2 მილიონ გირვანქას სთხოვენ. „ყველამ საკუთარი ინტერესი უნდა დაიცვას, მან კონტრაქტის პირობები დაარღვია და ფულადი კომპენსაციის გადახდაც ამიტომ მოუწევს“ — თქვა „ვალენსიას“ პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ. თავად ბენიტესი კი ამბობს, დამნაშავე არ ვარ და კლუბს პირიქით, აქეთ მართებს გადასახდელი 1,6 მილიონი გირვანქაო.

ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველ ბუღევინ ზენდენს ლონდონის „ჩელსიდან“ წასვლა არ სურს. ფეხბურთელმა უარი შეუთვალა თურქულ „ფენერბაჰჩეს“, სადაც მისი თანამემამულე და მეგობარი პიერ ვან ჰოიდონკი ბურთაობს. ზენდენი გასულ სეზონში „მიდლსბროში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ იგი არც „რივერსაიდზე“ აპირებს დაბრუნებას. „მიდლსბროში“ თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ „ჩელსიში“ მოქმედი კონტრაქტის თანახმად კიდევ ერთი წელი დამრჩა გასატარებელი და მინდა, ძირითადში ადგილის დამკვიდრება ხელახლა ვცადო“ — განაცხადა ზენდენმა.

იტალიის სუპერთასის მატჩი 21 აგვისტოს ტრიპოლიში გაიმართება. იცით, ლიბიის დედაქალაქმა 2002 წელსაც უმასპინძლა ფინალს, ხოლო შარშან ეს ჯილდო ნიუ იორკში გათამაშდა. ქვეყნის სუპერთასის სხვა ქალაქებში ჩატარება იტალიის საფეხბურთო ლიგამ კომერციული თვალსაზრისით დანერგა. 21 აგვისტოს ერთმანეთს ჩემპიონი „მილანი“ და თასის მფლობელი „ლაციო“ შეხვდებიან.

გერმანული „ბაიერნის“ ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსით რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული, ყველაზე რეალურად „ლივერპული“ აქტიურობს და გუნდის გამოცვლაზე თავად ჰარგრივსიც ფიქრობს. მიუნხენელთა გენერალურმა მენეჯერმა ული ჰაინესმა კი თქვა, „ბაიერნში“ ახლა ბევრი კარგი ფეხბურთელია და, თუ ჰარგრივსის მსურველები გამოჩნდებიან, მის გაყიდვაზე უარს არ ვიტყვითო.

ჩეხეთის ნაკრების ფორვარდი მარეკ ჰაინცი ლისაბონის „სპორტინგში“ გადაბარგდა. იგი ეროვნული გუნდის ძირითადი თავდამსხმელი არ არის, მაგრამ ევრო 2004-ზე მაინც შეძლო 2 გოლის გატანა. გასულ სეზონში კი მისი 19 გოლი მნიშვნელოვნად შეეწია ოსტრავის „ბანიკს“ ჩეხეთის ჩემპიონატის მოგებაში.

ფრანგული პსჟ ძლიერდება — პარიზელებმა შემტევი ნახევარმცველი ჟერომ როტენი და კოლუმბიელი მცველი მარიო იეპესი უკვე დაიგულეს. „მონაკოს“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი პსჟ-ს 10 მილიონი ევრო დაუჯდა, როტენმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხოლო იეპესის ტრანსფერის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველ სტივენ ჯერარდს, რომლის სანაცვლოდაც, აბრამოვიჩის „ჩელსი“ 30 მილიონ ევროს არ იშურებს, გუნდის დატოვებას არ ეშურება. „ბოლო დროს მართლაც ვფიქრობდი კლუბის გამოცვლაზე, მაგრამ მივხვდი, ჩემი გული „ლივერპულს“ ეკუთვნის, მე მიყვარს ეს გუნდი, აქაურობა და აქედან არ წავალ“ — თქვა ჯერარდმა.

იტალიაში შეკრებაზე მყოფ ინგლისურ „ბოლტონს“ იოჰან კრუიფის ვაჟი ხორდი შეუერთდა, თუმც ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ ისინჯება. 29 წლის ფეხბურთელს კარიერის დიდი ნაწილი ესპანეთში გაუტარებია, ბოლოს კატალონიურ „ესპანიოლში“ იყო. ხორდის ინგლისში ადრეც უბურთავია თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში. ახლა კრუიფი თავისუფალი აგენტია და თუ სემ ალარდაისს მოაწონა თავი, „ბოლტონთან“ კონტრაქტსაც უპრობლემოდ გააფორმებს.

დანიის ნაკრების მცველმა თომას ჰელვეგმა მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ მილანის „ინტერში“ დაბრუნებას აღარ აპირებს. მას დღე-დღეზე „ნერო-აძურისთან“ კონტრაქტი უმთავრდება და მხარეებს მისი გაგრძელება აღარ სურთ. სავარაუდოდ, ჰელვეგი ახალი სეზონიდან ინგლისურ „ევერტონში“ ითამაშებს, თუ ეს ვარიანტიც არ გამოვიდა, მაშინ 33 წლის ფეხბურთელი მშობლიურ „ოდენსეს“ დაუბრუნდება.

ინგლისური „ბირმინგემის“ მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ნისლიან ალბიონზე მიჩნეული ყველაზე მზარდი და პერსპექტიული სპეციალისტი „ბირმინგემს“ 2009 წლის ივნისამდე გაწვრთნის. სტივ ბრიუსის გადაბირება „ნიუკასლ იუნაიტედსაც“ ეწადა, ბობი რობსონის იდეალური შემცვლელი იქნებაო, მაგრამ „ჯორდებს“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

იტალიური „მილანი“, რომის „ლაციოს“ ფორვარდი ბერნარდო კორადი „ვალენსიაში“ რომ „გაექცა“, ახლა სხვა ძლიერი თავდამსხმელის ძებნაშია, რომელიც გუნდში მეოთხე ფორვარდის როლს დასჯერდება. აპენინური მედიის ცნობით, კანდიდატები არიან: ფერნანდო ტორესი, ლუის ფაბიანო, ფედერიკო კოსატო და სიმონე ინძაგი. ადრიანო გალიანი კი არანაირ კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს.

eurofan2004@hotmail.com

იტალიელებო, გახსოვთ რობერტო ბაჯო?

სხვისთვის არ ვიცი და, ჩვენს რუბრიკას კი ნაღდად ავნო იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის და ესპანეთის გავარდნამ, წერილების რაოდენობა შემცირდა. დანიის გავარდნის მერე ნათიამაც უარი თქვა მოწერაზე და მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაგვემშვიდობა. მაგრამ რა ვუყოთ.

დღევანდელ მიმოხილვას „იტალიელი“ და „დანარჩენი მსოფლიოს“ ფანების მძიმე პაექრობას დავუთმობთ, იქამდე კი, ცოტა რომ გავხალისდეთ, ერთი ნეკროლოგი წავიკითხოთ, რომელიც **GIO**-მ გამოგვიგზავნა.

მამა მაფია, დედა უეფა, ძმა სამხრეთამერიკული, აფრიკული ფეხბურთები და აზიური ფეხბურთი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამა წლის ივნისში დასასვენებლად წასული, პლაჟზე გარუჯვის დროს მოულოდნელად მზის დაკვრით გარდაიცვალა

ევროპული ფეხბურთი

პანაშვიდები და გასვენება შედგება გერმანიაში 2006 წლის ზაფხულში. პროცესიას უხელმძღვანელებენ აწ განსვენებულის ძმები.

რა არის ეს, ფეხბურთი? ფუი, ასეთ ფეხბურთს! აააააა, ჰო, ეხლა გამახსენდა, ჰო, ჰო, სიცხეა და მაგიტომ ვერ თამაშობენ. კი, აი, ნახეთ, ეს გოიმი სამხრეთამერიკელები ტექნიკურ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობენო. იმიტომ თამაშობენ ბატონო ეგრე, რომ სიცივეა იქ. აი, აცივდა აფრიკაშიც და შეხედე, ათამაშდნენ ისინიც. ეგრეა, ეგრე, წყალი არ გაუვა. ინტერტოტო გახდა ეგ თქვენი ევროპის ჩემპიონატი. გაუმარჯოს მუნდიალს!

მუდამ თქვენი ტარკემადა

სწორია ძმაო, სწორი. სიცხის ბრალია ყველაფერი. აგერ ანტარქტიკაში ისეთი სიცხეა, საერთოდ ვერ თამაშობენ ფეხბურთს.

მომდევნო წერილში ჩვენი მუდმივი ავტორი **MEZVRO** ძალიან საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს, წერილს კი ძალიან სევდიანად ამთავრებს:

— დაცოტავდნენ გუნდები. ჩეხეთ-ჰოლანდიამ სახლისკენ დაულოცა გზა განუყრელ სკანდინავიელ ძმებს. იტალიის გამოგდებითლა თუ მოიწონებენ ანი თავს ჯიგრები. ადრე ვიწერებოდი, პორტუგალიის და ჩეხეთის ფანებს სადიდგულოდ აქვთ-მეთქი საქმე. ცოტაც და შეიძლება ეს გუნდები ვიხილოთ კიდეც ფინალში. ჩემი მცირე პროგნოზიც ახდება. მე კი, ჩემი მხრივ, ნედვედის ჩეხეთს ვუსურვებ წარმატებას. თუმცა, ერთი რამ მეჩხირება თვალში. ახლახან „პორტუს“ ევროპის კლუბთა ყველაზე პრესტიჟული თასი შეხვდა. ალბათ წელს სრულიად პორტუგალიის გახარება ინება ბედმა. ჰოდა, ნაკრებთა შორის უპრესტიჟულესი თასიც წესით პორტუგალიელებისთვის უნდა იყოს „განწირული“. და ბოლოს, ხალხი გაიძახის: ზიდანი, ბექემი, ფიგუო. მე კი ვფიქრობ, სად ესენი და სად ჩემი რჩეული-თქო. გული მტკივა, წელს ფეხბურთიდან წავიდა ჩემი ყველა დროის კუმირი, რობერტო ბაჯო. დაბადებს კი ცხოვრება კიდევ მსგავსი ნიჭის ფეხბურთელს?

MEZVRO ძმაო, მოდი, შენს დაკვირვებას, პორტუგალიას წელს ბედი რომ ახარებს, განვავრცობ. საფრანგეთმა სწორედ იმიტომ ჩააგდო ეს ევროპა, რომ იქამდე ფრანგულმა კლუბებმა ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის ფინალები წააგეს. ჩემი და **MEZVRO**-ს დაკვირვებით, „მონაკოს“ და „მარსელს“ თასები რომ მოეგოთ, საფრანგეთიც უეჭველად გახდებოდა ევროპის ჩემპიონი.

ისე **MEZVRO** კარგი ქენი ბაჯო რომ გამახსენე, ახლავე აგიხსნი, რატომაც.

ჩვენი რუბრიკის ავტორი **DIDGORI1121** ძალიან გაბრაზებულია, დელ პიეროს რატომ მილანძღავთო.

„სკუადრას“ ერთმა თავგადაკლულმა ფანმა იტალიის გავარდნის მერე დელ პიეროს უმაქნისი, მოკლეფეხება, ცრუფეხბურთელი და ვითომ ვარსკვლავი უწოდა. მე კი ის ამბები გავიხსენე, 98-ში დელ პიერო და ბაჯო თითო ტაიმს რომ თამაშობდნენ და ბაჯო აშკარად სჯობდა და კიდევ ის, როგორი მომენტები გააფუჭა დელ პიერომ წინა ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

DIDGORI1121 გვწერს: დელ პიერო იმიტომ ცვლიდა ბაჯოს, რომ ძაან მაგარია. ძმაო, ეტყობა ხშირად არ უყურებ დელ პიეროს შოუს. მე ვთქვი და კიდევ ვიტყვი, რომ ალექსს ტრაპატონი არ ახარებდა. მე ძმაო, ფეხბურთელი ვარ და ფეხბურთს პროფესიონალის თვალით შეხედე. შენ არ გევასება იმას არ ნიშნავს, რომ გააფარჩაკო მთელი აუდიტორიის წინაშე. მე ძმაო, დელ პიერო, ზიზუ და ნედვედი ყველას მირჩევნია და შენ რაც გინდა, ის იფიქრე მაგათზე.

ძმაო **DIDGOR,** სიმართლე გითხრა, ფიქრი მეზარება და ამიტომ თვითონ დელ პიეროს ვალაპარაკებ. იმ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე დელ პიერომ თქვა: „სამწუხაროდ, ფორტუნამ ზურგი მაქცია. როდესაც საფრანგეთში მოვემგზავრებოდი, მეგონა, ეს თვე ჩემთვის უბედნიერესი იქნებოდა, მაგრამ მწარედ შევცდი — კოშმარს დაემსგავსა.“

ბაჯომ კი მეგობარზე ასე თქვა: „არა უშავს, ზოგჯერ გამოგივა თამაში, ზოგჯერ არა.“

ერთმა მწვრთნელმა კი მაშინ თქვა, ჯობდა რობერტო ბაჯო მეტხანს ეთამაშებინა მალდინის. თუ დააკვირდით, მისი მოედანზე გამოჩენა და იტალიელთა შეტევის გამწვავება ერთი იყო. რაც ბაჯომ გააკეთა, მხოლოდ დიდ ფეხბურთელებს შეუძლიათ, დელ პიერო კი ბაჯოს შემცვლელი ვერასდროს იქნებაო. რა ვიცი, ძმაო, ნაკრებში მის თამაშზე თვითონ დელ პიერო რასაც ამბობს, მე მხოლოდ ის გავიმეორე, მის კლუბში თამაშზე კი მგონი არაფერი მითქვამს.

მომდევნო წერილის ავტორი, ჩვენი ძველი ნაცნობი **GOODMAN**-ი კი გერმანიის გულშემატკივრებს უტევს.

— **GIORGI**-ს მივმართავ, რომელსაც მთლად კარგი აზრები ვერ აწუხებს. ტიტულების დათვლა და ისტორიის კაგრად გადაქცევა არ გვინდა, თორემ ნამდვილად გამიჩნდება, რომ გერმანია იტალიაზე წინ არის, გერმანი[illegible]ირი ძაღლის ბედი რომ ჰქონდეს აძურას... აღარ გავაგრძელებ. ფეხბურთზე საუბრისას საკლუბო ფეხბურთი არ უნდა დაგვავიწყდეს, რაშიც იტალიას ცოტა თუ შეედრება. მით უმეტეს, გერმანია. ისე, სულაც არ მძულს გერმანელები. პირიქით, ამიტომ ცოტა კორექტულები ვიყოთ. რაც მთავარია, 2006-ში ბრაზილიის სახით საერთო მტერი გვყავს დასამარცხებელი. ჰო, ისე, თუ სატრაბახოა, იტრაბახე იტალიაში ჩემპიონი გავხდიო. ისე, სულ რაღაც ორი წელი დაგრჩა საძახებლად.

დელ პიერო კი ნახავთ, როგორ ათამაშდება ლიპის ხელში.

კაი კაცო, თუ მხოლოდ სანაკრებო შედეგებს დავითვლით, გერმანიას იტალიაზე მეტი ჯილდო აქვს მოგებული, მაგრამ საკლუბო ტიტულებს თუ დავითვლით, (ჩემპიონთა თასი, უეფას თასი ბაზრობათა თასიანად, თასების მფლობელთა თასი) მაშინ იტალია, ინგლისი და ესპანეთი გვარიანად უსწრებენ გერმანულ კლუბებს. ამიტომ, რომ არ ვიჩხუბოთ, გერმანიის ფანებმა მხოლოდ სანაკრებო ტიტულები დაითვალონ, იტალიის, ინგლისის და ესპანეთის ფანებმა კი საკლუბო ჯილდოები.

GIORGI-ს ეხმაურება leso2-იც, ისე კი, დევიდ ბექემის ფანებიც თუ წაიკითხავთ ამ წერილს, კარგი იქნება:

— გაუმარჯოს სასტავს! მოკლედ, ეს სეზონი მაგარი ტრუხაა. ჩემპიონთა ლიგიდან დაწყებული ევროპის ჩემპიონატით დამთავრებული ფავორიტების ცვენაა. ტოტალიზატორი მაინც მქონოდა. მაყუთს მაინც მოვლუნავდი. **GIORGI**-ს და **GIO_ XUCO**-ს გამოვეხმაურები. **GIORGI,** სანამ გერმანიას კურანიზე და შვაინსტაიგერზე პერსპექტიული ფეხბურთელები არ ეყოლება, ეგენი ვერ გაქაჩავენ. მეორე გიორგის, რომელიც ინგლისის გავარდნაში დამნაშავეს ეძებს, კი ვეტყვი, რომ გუნდის კაპიტანი კაცი უნდა იყოს და არა პადკაბლუჩნიკი და მაჩალკა ბიჭუნა. აბა, ჰე!

P.S. ისე, ერთი იდეა მაქვს: ევროფანის იტალიის ბალეშჩიკებმა (როგორც ჩანს, ყველაზე ბევრნი ვართ) ფეხბურთი ვეთამაშოთ დანარჩენებს. ჰა, რას იტყვით?

რა უნდა ვთქვათ, ოღონდ **DIDGORI1121**-ს ვერ ვათამაშებთ, პროფესიონალი ფეხბურთელი ყოფილა, ეს მატჩი კი სამოყვარულო უნდა იყოს. მე და **DIDGORI1121** თუ გინდა მსაჯები ვიქნებით.

ბოლოსთვის კი თავად **GIORGI**-ს წერილი შემოვინახე და მანდილივით უნდა ჩავაგდო ფანებს შორის:

— მართალია **MEZVRO,** ამ ბოლოს მართლა ძალიან ცუდი წერილები მოდის, იმ გაგებით, რომ ერთმანეთის დაცინვის მეტს არაფერს ვაკეთებთ. მათ შორის მეც, სამწუხაროდ. მაგრამ როცა „ჩემს“ ნაკრებს ეხებიან, მერე ვეღარ ვზომავ, თუმცა მეზვრომ გერმანიის ნაკრებს კბილი მაინც გაკრა. მე იტალიისაზე მაინც არაფერს ვიტყვი. ისე მეორე იდეა უფრო მომეწონა. სუფრას შემოვუსხდეთო ევრო 2004-ის მერე, მაგარი იდეაა. შენ რას იტყვი ბუარაჯან?

მე რა უნდა გითხრა? კიდევ მოიწერეთ.

ვებმასტერი ბუარა



eurofan2004@hotmail.com

ფოტოეფექტი

დიკ ადვოკაატი ფიქრობს. ხელს ნუ შეუშლით

ამ ხალხს სჯერა ვან ნისტელროის

ხრისტო სტოიჩკოვს ისე უხარია, მაგიდის ფეხბურთი მგონი, მართლა ფეხბურთი ჰგონია

იან კოლერი იმხელაა, კიდევ გაწელვა უნდა?



შოთ აუთ ქართულად დაახლოებით ასე ითარგმნება: აბა, დაახვიეთ აქედან. ამ გვარდიელს რომ დაინახავ, მართლა უნდა დაახვიო

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		30 ივნისი						
22.45	029	პორტუგალია-ჰოლანდია	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42
		1 ივლისი						
22.45	030	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03

I ტაიმის შედეგი

	30 ივნისი						
5029	პორტუგალია-ჰოლანდია	2,9	2,05	3,3	1,2	1,54	1,26
	1 ივლისი						
5030	ჩეხეთი-საბერძნეთი	2,1	2,15	5,0	1,06	1,47	1,5

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. ალსვენსკა. გადადებული მატჩი						
		30 ივნისი						
21.00	461	მალმიო-იორგრიტე	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

შემდეგ ეტაპზე გასვლა

	30 ივნისი		
7029	პორტუგალია-ჰოლანდია	1,7	1,9
	1 ივლისი		
7030	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,27	3,0

6003 ჩემპიონი

ჩეხეთი	2,4
პორტუგალია	3,0
ჰოლანდია	3,0
საბერძნეთი	7,5

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

	30 ივნისი		
5429	პორტუგალია-ჰოლანდია	1,85	1,95
	1 ივლისი		
5430	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,5	2,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	30 ივნისი									
5129	პორტუგალია-ჰოლანდია	3,8	10,0	20,0	4,6	4,2	5,0	20,0	10,0	4,2
	1 ივლისი									
5130	ჩეხეთი-საბერძნეთი	2,3	10,0	25,0	3,5	4,8	9,0	20,0	10,0	8,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	30 ივნისი			
5529	პორტუგალია-ჰოლანდია	3,0	2,8	2,0
	1 ივლისი			
5530	ჩეხეთი-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	30 ივნისი		
5329	პორტუგალია-ჰოლანდია	1,7	1,9
	1 ივლისი		
5330	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	30 ივნისი		
5229	პორტუგალია-ჰოლანდია	1,6	2,0
	1 ივლისი		
5230	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,65	1,95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ფეხბურთი ბალახზე

დგას

ჩემპიონ ვიტ ჯორჯიას სტადიონი დაუწუნეს

ბადრი ჯობლაძის ფოტო

პროფლიგის ახალ მოთხოვნებზე ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა და ყველაზე სახეირო კი ისაა, რომ მთქმელმა სიტყვას საქმეც მიაყოლა და ასე თუ გააგრძელა, იქნებ რამე გვეშველოს.

ცოტა ხნის წინ შექმნილმა საგანგებო კომისიამ, რომელსაც უმაღლესი ლიგის კლუბების სტადიონები უნდა შეემოწმებინა, მუშაობა დაიწყო და ცუდზე ცუდი უკვე თქვა.

როგორც შევიტყვეთ, კომისიამ ორი კლუბის, „ქობულეთის“ და „ვიტ ჯორჯიას“ სტადიონები დაიწუნა. მათ მოსაფიქრებლად ორდღიანი ვადა მიეცათ და ამ ორ დღეში ორივე კლუბის წარმომადგენლებმა უნდა წარადგინონ ან გარანტიები, რომ მინდორს შესაბამისი სამუშაოები ჩაუტარდება, ან ალტერნატიული სტადიონის ვარიანტი.

გარკვეული პრობლემები აქვთ „ბათუმს“ და გორის „დილასაც“. ამ გუნდების მოედნებს უდრენაჟობას უწუნებენ.

დავით ერაძე

ბადრი ჯობლაძის ფოტო

დავით ჭიჭვეიშვილი „დინამოს“ დაუბრუნდა, დაუბრუნდა იმიტომ, რომ ის ამ გუნდში ჯერ კიდევ 1999 წელს ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დროს თამაშობდა. სხვათა შორის, სწორედ მაშინ შედგა ჭიჭვეიშვილის სანაკრებო დებიუტიც — ნორვეგიის წინააღმდეგ. შემდეგ კი დაიწყო: მოსკოვის „სპარტაკი“, თბილისის „ლოკომოტივი“, ბოლნისის „სიონი“... „დინამოს“ ჭიჭვეიშვილი ნაკრების კანდიდატად დაუბრუნდა, ალენ ჟირესს ის თვალში მოსდის.

ჭიჭვეიშვილს გერმანიაში მაშინ შევეხმიანეთ, როცა „დინამოსთან“ ერთად შვეიცარიაში გასამგზავრებლად ემზადებოდა...

ბოსკამპის ფავორიტი ბოსკამპის მოსწავლესთან

— „დინამოში“ დასაბრუნებლად საკმაოდ გრძელი გზის გავლა მოგიხდა...

— ასეა, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მოსკოვის „სპარტაკში“ წასვლა მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თანაც მაშინ რუსეთში „სპარტაკის“ ბატონობა კვლავ გრძელდებოდა და ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ხშირად თამაშობდა. მოსკოვში ჩასვლისას ნაღდად კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ სულ სხვა ატმოსფეროსთან და მოთხოვნებთან შეგუება ძალიან გამიჭირდა. თანაც გვერდშიც არავინ დამიდგა და ვგრძნობდი, უნდა წამოვსულიყავი.

— საქართველოს დაუბრუნდი და „ლოკომოტივში“ აღმოჩნდი...

— „ლოკომოტივში“ მაშინ საკმაოდ კარგი სიტუაცია იყო, ძლიერ ფეხბურთელებს მოეყარათ თავი. გუნდსაც მაღალი მიზნები ჰქონდა დასახული. მთავარი ის იყო, რომ ამბიციურ კლუბში დავბრუნდი და დაკარგულის აღდგენა შევძელი.

— თუმცა შემდეგი კლუბი „სიონი“ აღმოჩნდა, რომელმაც ჩემპიონატი ამბიციების გარეშე დაიწყო...

— ჩვენს ძალებს ობიექტურად ვაფასებდით, უეფას თასზე თამაში გვსურდა და შესაბამის მიზნებსაც ვისახავდით. თუმცა შემდეგ საჩემპიონო შანსი გაჩნდა და ჩვენსას ვეცადეთ. მართალია, „სიონში“ გადასვლა ერთი შეხედვით ნაჩქარევი ნაბიჯი იყო, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ბოლნისში კარგი გუნდი შეიქმნა და იქ გატარებულ სეზონს საკმაოდ წარმატებულად ვთვლი.

— როგორ ფიქრობ, „სიონს“ ჩემპიონობა რომ მოეპოვებინა, „დინამოში“ მაინც გადახვიდოდი?

— „სიონს“ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ „დინამო“ მაინც სხვაა და აქ დაბრუნების შანსს ხელიდან არ გავუშვებდი.

— რა დაგხვდა შეცვლილი „დინამოში“?

— განსაკუთრებული არაფერი. პირობები „დინამოს“ მაშინაც კარგი ჰქონდა. გეგუჩაძე კი ბოსკამპის გზას აგრძელებს, მათი მუშაობის სტილი და ვარჯიშები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

— ალბათ სიმბოლურია, რომ „დინამოში“ მაშინ დაბრუნდი, როცა კვლავაც ითვლები ნაკრების წევრად...

— ეს მართლაც საინტერესო დამთხვევაა. „დინამოში“ მომატების და წინსვლის საშუალება გაცილებით დიდია. ნაკრებში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და, ვფიქრობ, შრომა დამიფასდა.

— რუიტში პირველად ხარ, როგორ შეაფასებ „დინამოს“ მოსამზადებელ ეტაპს?

— ძალიან კარგ პირობებში ვემზადებით, შესათამაშებლად მართლაც რომ მაღალი დონის სპარინგმატჩებია შერჩეული და უკეთესი რაღა შეიძლება იყოს?

— უეფას თასზე ბელარუსული ბატე გერგოთ. მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდი?

— შანსები თანაბარია. ამ გუნდთან სამი წლის წინანდელი მატჩი საერთოდ არ მინახავს, თუმცა ვიცი, რომ ძალიან ბრძოლისუნარიანი და ფიზიკურად ძლიერი გუნდი იყო. ალბათ ახლაც ასევე იქნება. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სამი წლის შემდეგ ბატეშიც საკმაოდ ბევრი ცვლილებაა, გუნდი უფრო გაახალგაზრდავებულია, ალბათ სათამაშო ხელწერა ივივე ექნებათ. საინტერესო და დაძაბული მატჩები გამოვა.

დავით ერაძე

ტურებზე და კონტურებზე პირველი ლიგისთვის

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობა პირველი ლიგის გუნდებს შეხვდა. რამდენიმე განსახილველ თუ გადაწყვეტილ საკითხთა გარდა პირველლიგელთა პროფლიგაში გაწევრიანებაზეც ისაუბრეს. ქვედალიგელი კლუბებისადმი პროფლიგის მოთხოვნა მარტივი და გასაგებია — გუნდი ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ელემენტარულ პირობებს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს, ჰქონდეს ხარისხიანი მოედანი, მოწესრიგებული სტადიონი და სხვა ამგვარი.

გუშინდელ შეხვედრაზევე გადაწყდა, რომ წლეულს პირველი ლიგის სამონაწილეო თანხა 15 ათასი ლარი იქნება, რაც შარშანდელ შენატანს ორი ათასით აღემატება. ამ თანხის აგვისტომდე გადაუხდელობის შემთხვევაში ფედერაცია-პროფლიგა პირველლიგელებს ჩემპიონატიდან მოკვეთით ემუქრებიან.

პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა კი პირველი ლიგის 2004-05 წლების გათამაშების კალენდარზე და სათასო თარიღებზე იმსჯელა, გარკვეული პროექტიც შეადგინა და საბოლოოდ დასამტკიცებელ ვარიანტამდე მცირე დრო კიდევ ითხოვა.

გაირკვა, რომ თასის მეთექვსმეტედფინალში არ ითამაშებენ ევროთასებზე გასული კლუბები: „ვიტ ჯორჯია“, თბილისის „დინამო“, „თბილისი“ და გორის „დილა“ მერვედფინალიდან ჩაერთვებიან გათამაშებაში.

გთავაზობთ სათასო თარიღებს:

მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩები — 24 აგვისტო, საპასუხო — 2 სექტემბერი

მერვედფინალი

პირველი მატჩები — 19 ოქტომბერი, საპასუხო — 3 ნოემბერი

მეოთხედფინალი

პირველი მატჩები — 1 დეკემბერი, საპასუხო — 17 დეკემბერი.

ნახევარფინალები და ფინალი კი 2005 წლის გაზაფხულზე ჩატარდება.

პირველი ლიგა 15 აგვისტოს დაიწყებს. პროფლიგამ კი მონაწილე კლუბებს პირველი სამი ტურის საკარაუდო კალენდარი შეუდგინა, რასაც აქვე გაგაცნობთ.

პირველი ტური

15-16 აგვისტო

ოლიმპი – თელავი
ამერი – ცხინვალი
ურიონი – თორი
ივერია – მილანი
სპარტაკი – გურია
დინამო 2 – მერცხალი
ჩიხურა – ვიტ ჯორჯია
მატაროელი – თსუ

მეორე ტური

20-21 აგვისტო

თელავი – თსუ
ვიტ ჯორჯია – მატაროელი
მერცხალი – ჩიხურა
გურია – დინამო 2
მილანი – სპარტაკი
ივერია – თორი
ცხინვალი – ურიონი
ოლიმპი – ამერი

მესამე ტური

29-30 აგვისტო

ამერი – თელავი
ურიონი – ოლიმპი
ივერია – ცხინვალი
სპარტაკი – თორი
დინამო 2 – მილანი
თსუ – ვიტ ჯორჯია
ჩიხურა – გურია
მატაროელი – მერცხალი

თბილისმა მოდებაძეები უეფაში გაგზავნა

„თბილისი“ საახალსეზონო მზადებას განაგრძობს. ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ ამხანაგური მატჩის ჩაშლის შემდეგ თბილისელები ძველი გრაფიკით, დღეში ორჯერ ვარჯიშობენ და პარალელურად ამხანაგური მატჩების გამართვასაც ეშურებიან. 1 ივლისს „თბილისი“ „ისანზე“ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს. მატჩი 18 საათზე დაიწყება. „თბილისს“ საბოლოოდ ჯერაც არ გადაუწყვეტია ფორვარდი ძმების — ირაკლი და გიორგი მოდებაძეების საკითხი, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ კლუბი მათთან კონტრაქტს გააფორმებს. ამის თქმის საფუძველს მოდებაძეების საუეფასოსო განაცხადში შეყვანა გვაძლევს.



როგორც ჩანს, უსასრულოდ გაწელილი რუსთაველი ამბავი მალე დამთავრდება. „რუსთაველის“ მწვრთნელ ვარლამ კილასონიას არაერთი ცდის მიუხედავად, კლუბის ბედით არავინ დაინტერესდა.

გუნდს კლავენ, კაცი არ არის პატრონი

— სამწუხაროდ, ახალი არაფერია, ისევ უპატრონოდ ვართ მიტოვებულნი. სამი დღეც მაცადეთ და ოფიციალურად გავაკეთებ განცხადებას კლუბიდან წასვლის შესახებ. მე პირადად ვერავინ ვნახე „რუსთავის“ ბედით დაინტერესებული. ვისაც ეს ევალება, პასუხს გაურბის, ზოგს საერთოდ მობილური გათიშული აქვს — გვითხრა გუშინ ვარლამ კილასონიამ.

ჩვენ კი დავძინოთ, რომ კილასონიას მიერ ნახსენები სამი დღეც უფრო იმ ხავსს ჰგავს, ბედსმინებული გუნდი რომ ეჭიდება.

დავით ერაძე

ძველი ტელეფონი

იური ჰუნტუსმა დინამო ისევ შეიცხადა

პირველ-საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისპის „დინამოს“ კენჭისყრამ მეტოქედ უცნობი ბელარუსული ბატე არგუნა, ჩვენებმა საქმე მაშინვე მოთავებულად ჩათვალეს, მეორე ეტაპზე გასვლამდე ხელები მოიფშვნიტეს.

ბატეს თავკაცი იური ჰუნტუსი მშვიდად იყო, არც ტაქტის გრძნობა დაუკარგავს, არც თავისი გუნდის შესაძლებლობები დაუკნინებია და დინამოელებსაც დითირამბებით ამკობდა.

ჩამოვიდა ბატე თბილისში და საპასუხო მატჩისთვის, შინ საპატიო 1:2 წაიღო. ბორისოვოში კი „დინამოს“ რა დღეც დაადგა, ალბათ, კარგად გახსოვთ — 0:4 წააგო

„დინამოში“ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, პატრონით დაწყებული, მწვრთნელებით დამთავრებული. თბილისელთა მაშინდელი თავკაცი გივი ნოდია ივო შუშაკმ შეცვალა, შუშაკი გია გეგუჩაძემ წავიდნენ ფეხბურთელებიც და ახლა ფაქტობრივად ახალ „დინამოს“ პირველივე მატჩი ძველ ბატესთან ელის. ძველი, ვამბობთ, რადგანაც ბატეში ამ სამ წელიწადში ბევრიც არაფერი შეცვლილა. მაშინდელი შემადგენლობიდან ექვსი ფეხბურთელი ისევ დამრტყმელ ძალად ითვლება და მწვრთნელიც ისევ ისაა, ძველი ნაცნობი იური ჰუნტუსი.

ჩვენ კი გუშინ ბლოკნოტში სამი წლის წინანდელი ჩანაწერები გადაეფურცლეთ, გადავიკითხეთ, ჰუნტუსის ტელეფონის ნომერიც იქვე ეწერა...

— კენჭისყრის შედეგით უკმაყოფილო ვარ, განთესილთაგან ბატეს ყველაზე ძლიერი მეტოქე ერგო, არადა, შესაძლო იყო, „დინამოზე“ გაცილებით სუსტი გუნდი შეგვხვედროდა — გვითხრა ბატეს მწვრთნელმა — დღევანდელ „დინამოზე“ ვერ ვიტყვი, რომ ბევრი ვიცი. თუმც რაც ვიცი, ისიც საკმარისია, ვთქვა — კენჭისყრამ არ გაგვიმართლა.

— რატომ? „დინამო“ ხომ სამი წლის წინ დაგიმარცხებიათ, თანაც დიდი ანგარიშით.

— ეგ სამი წლის წინ იყო. რა იქნება ახლა, ძნელი სათქმელია. სამი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ლატვიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებდა.

— „დინამოს“ დამარცხების მერე ბატეში რა შეიცვალა?

— მნიშვნელოვანი არაფერი, მაშინდელი შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა.

— და მწვრთნელიც ისევ ჰუნტუსია...

— ბატე უკვე ჩემი ცხოვრების ნაწილად შეგიძლიათ ჩათვალოთ. ამ გუნდში ბევრი ვისწავლე, ამ გუნდმა ბევრი რამ მომცა.

— ახლანდელ „დინამოზე“ ბევრი არ ვიცით, თქვით, ცოტა რა იცით?

— დღევანდელი „დინამოს“ სიძლიერის ათვლის წერტილად წლევანდელი ესენგეს თასის გათამაშება ითვლებოდა, თუმც ახლა გავიგე, რომ იმ გუნდიდან „დინამოში“ სულ სამი-ოთხი ფეხბურთელი დარჩენილა. პირდაპირ გეტყვით, ეს ჩვენთვის კარგია, ახლა ბატეს „დინამოს“ დამარცხების მეტი შანსი აქვს, თუმც მე ყოველთვის ვიყავი „დინამოს“ პატივისმცემელი და ცოტა არ იყოს, გულზე უსიამოვნოდ მომხვდა ესენგეზე ნათამაშევი „დინამოს“ დაშლის ამბავი.

— ესენგეს გათამაშებას ესწრებოდით?

— დიახ, ოღონდ „დინამოს“ მატჩებს როცა ვუცქერდი, არ ვფიქრობდი, რომ ეს გუნდი ბატეს მომავალი მეტოქე იქნებოდა.

— არც არის. თავად არ თქვით, ახლა „დინამო“ ახალი გუნდი ყოფილაო?

— კი, მაგრამ, რომ მცოდნოდა „დინამო“ ჩვენი მეტოქე იქნებოდა, ჩასანიშნს იმ გუნდიდანაც ჩავინიშნავდი და დარწმუნებული ვარ, ის ჩანაწერები ახლაც გამომადგებოდა. ისე კი, რაკი სიტყვამ მოიტანა, გეტყვით, რომ „დინამომ“ მოსკოვში ნამდვილი ფურორი მოახდინა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

— თქვენს გუნდზე რას იტყვით?

— ბატე კარგი, პერსპექტიული ბიჭებით დაკომპლექტებული ახალგაზრდული გუნდია...

— სამი წლის წინაც იგივეს ამბობდით, ბატე ახალგაზრდული გუნდიაო. ის ახალგაზრდები აღარ გაიზარდნენ?

— ახალგაზრდები არიან, თუმც ახლა უფრო გამოცდილები. გუნდიდან ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ გამოვყოფ. გამოარჩევ-ფეხბურთელი ბატეს ეყოლა, ბატე — ეროვნული გუნდია და გამოარჩევ თუ რამეა, ეს ჩვენ, გუნდური თამაშია.

— ინფორმაცია გავრცელდა, ბატემ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, მაგალითად, ბაგა და ბეგანსკი ტრანსფერზე დააყენაო. მართალია?

— ეს ფეხბურთელები ტრანსფერზე არ არიან, თუმც მათი მთხოვნელები მაღალი დონის გუნდები თუ იქნებიან, ჩვენ ტრანსფერს არ შევაფერხებთ. მაგრამ არც ისე იქნება, ფეხბურთელები გავუშვათ და მერე გუნდი თავიდან ასაწყობი გავიხდეს. ბატე თავის ღერძს ყოველთვის შეინარჩუნებს. ტრანსფერები კი ყველა გუნდისთვის აუცილებელია. გუნდის შენახვის ერთ-ერთი საშუალება სწორედ ტრანსფერებია. ამის თაობაზე გერმანიაში, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისას „დინამოს“ მმართველ დირექტორს დავით პეტრიაშვილს ვესაუბრე და აღმოჩნდა, რომ ბატეც და „დინამოც“ გუნდს მეტწილად სწორედ სატრანსფერო თანხებით ინახავენ.

— და ერთიც მომავალ მატჩზე: ფიქრობთ, რომ ბატე დღევანდელი „დინამოს“ დამარცხებას უწინდელზე იოლად შეძლებს?

— ვერაფერს გეტყვით. თუ მოვიგებთ, ხომ კარგი, თუ არადა... ჩვენ არაფერი გვავიწყდება — ბატეს მეტოქე თბილისის „დინამოა“, უდიდესი წარსულისა და პოტენციის მქონე გუნდი. ამ ყოველივეს გათვალისწინებით მცირე უპირატესობა მაინც „დინამოსია“. თუმც, რა თქმა უნდა, უშანსოდ არც ბატეა. ერთი კი ნაღდად ვიცი, კარგი თამაშები იქნება.

ქოგა ინასარიძე

მერე რა?! რეჰაგელიც ემოციურია

ბაბრი ალთილაბის ფოტო

საქართველოს შანსი სასწაულია

ეროვნული ნაკრების მეკარეების მწვრთნელი და ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაცი ოთარ გაგელია ფეხბურთში მართლაც ბევრისმნახველი კაცია. გაგელია არაორდინალური პიროვნებაცაა და ხშირად შესაბამისადაც მოქმედებს. მალე „ტორპედოს“ და ნაკრებს ახალი სეზონი დაეწყებათ, მანამდე კი გაგელია „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს...

— „ტორპედომდე“ რამდენიმე გუნდში გიმუშავიათ, მაგრამ თასის ფინალში „ტორპედოს“ გარდა არცერთი არ გაგიყვანიათ — ეს წინა სეზონში მოახერხეთ. ამას, როგორც მწვრთნელი, თქვენი კარიერის მწვერვალად მიიჩნევთ?

— ასე არ ვიტყოდი, რადგან სადაც კი მიმუშავია, ყველგან კარგი გუნდი მყავდა, ხოლო გურჯაანის „ალაზანთან“ ერთად ბრინჯაოც მოვიპოვე. რა თქმა უნდა, „ტორპედო“ რომ თასის ფინალში გავიდა, დიდი წარმატება იყო და არ მოველოდი, თუ ჩემი ფეხბურთელები „დინამოსთან“ ასე კარგად ითამაშებდნენ, მაგრამ მსაჯმა დაგვაღალატა.

— ახლა რა ვითარებაა „ტორპედოში“? მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მოლაპარაკების დასრულებას ელით?

— ერთი კვირაა, რაც „ტორპედო“ შეიკრიბა. ფინანსური საკითხები კი დღე-დღეზე გადაწყდება.

— როგორც მწვრთნელი, საკუთარ თავზე კვლავაც მუშაობთ თუ მიგაჩნიათ, რომ ფეხბურთში უკვე რაღაცის სწავლა აღარ გჭირდებათ?

— რა ასაკისაც უნდა იყოს, მწვრთნელმა საკუთარ თავზე აუცილებლად უნდა იმუშაოს. ახალკაცთან, ბესკოვთან და ლობანოვსკისთან მიმუშავია და მათგან ბევრი რამ ვისწავლე. საკუთარ თავზე ყოველთვის ვმუშაობ და კარგი სამწვრთნელო გამოცდილება დამიგროვდა. უმთავრესი ფაქტორი კი ჩემთვის ახლა ისაა, თუ ფეხბურთელთა რა კონტინგენტთან მომიწევს მუშაობა და რა სიტუაცია იქნება მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის.

— ბოლო წლებში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მომუშავე მწვრთნელთაგან ყველაზე უფრო ვის გამოარჩევდით?

— ივო შუშაკს.

— რატომ მაინცდამაინც შუშაკს?

— საქმისადმი მიდგომით, ქცევით და ადამიანობით — შუშაკი ამით გახლდათ გამორჩეული.

— მიგაჩნიათ, რომ ემოციურობა თქვენი უმთავრესი ნაკლია?

— თუ მწვრთნელი ემოციური არ არის და სათადარიგოთა სკამზე მშვიდად ზის, ესე იგი, მას თამაში „გაკეთებული“ აქვს. ვფიქრობ, ცოტათი ემოციური ყველა მწვრთნელი უნდა იყოს. ოტო რეჰაგელიც ემოციურია, აქეთ-იქით დარბის, მაგრამ რითაა სხვებზე ნაკლები? რეჰაგელი ჭკვიანი კაცია, საბერძნეთში მაშინ მივიდა, როცა ნახა, რომ ფეხბურთელთა კარგი თაობა მოდიოდა.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თითქმის მუდმივად მუშაობთ მეკარეების მწვრთნელად და გუნდის სამზარეულოშიც კარგად უნდა იყოთ ჩახედული — როგორ ფიქრობთ, ნაკრების მუდმივი წარუმატებლობები რისი ბრალია?

— ბევრის აზრით, ეს მწვრთნელის ფაქტორითაა განპირობებული. მე კი მგონია, რომ ფეხბურთელთა პლეადა არ მოდის. საქართველოს ნომერ პირველ ფორვარდად შოთა არველაძე მიმაჩნია, მაგრამ მისი შემცვლელი აღარ ჩანს. ერთი სიტყვით, მაღალი კლასის ფეხბურთელი ცოტა გვყავს.

— ლატვიას ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ გავიდა?

— ლატვიაში ფეხბურთის საკითხი სათანადო დონეზეა დაყენებული.

— ალენ ჟირესში, როგორც მწვრთნელში, განსაკუთრებული რა დაინახეთ?

— ჟირესი მართლა მწვრთნელია და ყველაფერს კაცურად აკეთებს, ქართველებს რომ გაგვიხარდება, ისე.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეები საბერძნეთი და დანიაც არიან, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზეც დაგვანახეს თავიანთი ძალა...

— მართლაც ძალიან ცუდ ჯგუფში მოვხვდით. მაგრამ თუ კარგად მოვემზადებით, იქნებ სასწაულის მოხდენაც შევძლოთ.

— ევროპის ჩემპიონი ვინ გახდება?

— თუ მსაჯები მიეხმარებიან, პორტუგალია, თუ არა, ჩეხეთი.

დავით თავგართქილაძე

სიომინების გადაწყვეტილება

ახალკაცი ჯანაშიასთან

რომან ახალკაცი მოსკოვის „ლოკომოტივში“ ქუთაისის „ტორპედოდან“ შარშანდელის დეკემბერში გადავიდა, თუმც „ლოკომოტივის“ პირველ გუნდში ოფიციალური მატჩი ერთხელაც არ უთამაშია. რუსული პრემიერლიგა 3 ივლისს განახლდება და ახალკაცი ამჯერადაც ვერ ითამაშებს — „ლოკომოტივმა“ ქართველი შემტევი კალინინგრადის „ბალტიკაში“ გაანათხოვრა, რომელიც პირველი ლიგის აუტსაიდერია.

არადა, 23 წლის ახალკაცი „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობაში გამორჩეული გახლდათ — 6 მატჩში 8 გოლი გაიტანა. რუსეთის ჩემპიონატის განახლების წინ, ფრანგულ შეკრებაზე რკინიგზელთა თავკაცმა იური სიომინმა ახალკაცი პირველ გუნდთან ერთად წაიყვანა და ექსტორპედოელმაც ორ საკონტროლო შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა, მაგრამ სიომინმა ქართველი თავის შვილთან გაუშვა — „ბალტიკას“ ანდრეი სიომინი წვრთნის, ახალკაცი კი იქ ეული ჩვენებური არ იქნება — „ბალტიკაში“ ხომ ზაზა ჯანაშიაც მივიდა.

სანიკიძე სან ანტონიოში გამოიძახეს

ვიზამდე კი მთელი ამბებია

დრაფტის საღამოს „ატლანტას“ მიერ 42-ე ნომრად აყვანილი და შემდეგ „სან ანტონიოში“ გაშვებული ვიქტორ სანიკიძე უკვე შეუდგა საბუთების კეთებას ამერიკის ვიზის მისაღებად. ვიქტორს გუშინ მისმა მენეჯერმა სალივან რიდმა დაურეკა და გადაჭრით უთხრა, პასპორტი და სხვა საჭირო საბუთები გამომიგზავნე, სანანტონიოელები ივლისის ბოლოს გელიანო...

— როგორც იქნა, რიდმა მოიცალა, მას გუშინ ველაპარაკე და ეს ამბავი მახარა: „სან ანტონიომ“ საზაფხულო ლიგისთვის მიხმო, ამერიკაში ივლისში მელიან.

— ივლისი მეტად გადატვირთულია — ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშობს, ეროვნულ გუნდს კი იტალიური შეკრება და ოთხთა ტურნირი ელის...

— ეს უკვე იციან სანანტონიოელებმა და რიდს უთხრეს, ჩვენ არ ვაჩქარებთ, როცა გათავისუფლდება, მაშინ ჩამოვიდესო. ასე რომ, ესპანეთშიც წავყვები ჭაბუკთა ნაკრებს და იტალიაშიც წავალ ეროვნულ გუნდში სათამაშოდ, თუ, რა თქმა უნდა, ბრაიკოვიჩი 12-კაციან შემადგენლობაში შემიყვანს.

— რიდმა კიდევ რა გითხრა, სანანტონიოელებს ჯერ ხომ არ გადაუწყვეტიათ რამე შენთან დაკავშირებით?

— არა, ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ. „სან ანტონიოში“ მნახავენ, დაფიქრდებიან და მერე იტყვიან პასუხს. რიდმა მითხრა, ყველაფერი მოსალოდნელია, შესაძლოა, „სან ანტონიომ“ სულაც წლეულსვე აგიყვანოსო. არც ისაა გამორიცხული, რომ სანანტონიოელებმა აზლავე გამოისყიდონ ჩემი კონტრაქტი „დიჟონისგან“ და რომელიმე სხვა ევროპულ გუნდში გამიშვან. არ ვიცი, ყველაფერი მას შემდეგ გადაწყდება, როცა ამერიკაში ჩავალ.

— როდის მიდიხარ ამერიკაში, სანანტონიოელებს კონკრეტული თარიღი არ უთქვამთ?

— კონკრეტული დღე არ დაუთქვამთ, მაგრამ დაახლოებით ივლისის ბოლოსთვის მელიან. 9-18 ივლისს ესპანეთში, ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე ვითამაშებ, მერე კი იტალიაში გადავალ ეროვნული გუნდის შეკრებაზე. ალბათ ამ დროისთვის ამერიკის ვიზაც მზად იქნება და სან ანტონიოშიც პირდაპირ იტალიიდან წავალ.

— როგორ გგონია, მზად ხარ ნბა-ში სათამაშოდ?

— მზად, ალბათ, არ ვარ. კარგი იქნება, „დიჟონში“ თუ დამტოვებენ, მაგრამ თუ წაყვანა დამიპირეს, ალბათ ესაც სწორიც იქნება, ამერიკელებმა ხომ უკეთ იციან, გამოვადგები თუ არა მათ.

ირაკლი პერტაია

მოგვცემენ ფულს, გავაკეთებთ გუნდს და ასე შემდეგ

კიდევაც დაიზრდებიან... სტუ-ში დინამოელები

ბრინჯაოსმედალოსანი „სტუ-ჯეოსელი“ დაიშალა — ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ყველა მოთამაშემ დატოვა... მაგრამ საგანგაშოც არაფერი ხდება ტექნიკოსთა გუნდში, უბრალოდ, ყველა მოთამაშეს კონტრაქტი დაუსრულდა და უმეტესობამ უკვე იპოვა თავისი გზა.

შიო ხეცურიანმა, ზვიად ბაბიაშვილმა და გიორგი ნიკოლაძემ „დინამოს“ მიაშურეს, არმენ ოგანესიანი მშობლიურ სომხეთში დაბრუნდა და კარიერის გაგრძელებას ირანში აპირებს, გიორგი მარკოიშვილს კი უცხოეთისკენ, სავარაუდოდ, იტალიისკენ უჭირავს თვალი.

„ჩვენთან ასეა, მოთამაშეებს სეზონიდან სეზონამდე ვუფორმებთ კონტრაქტს, ასე რომ, ჩემპიონატი დასრულდა თუ არა, გუნდის ყველა წევრი გათავისუფლდა — გვითხრა ტექნიკოსთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა — ახლა შვებულებაში ვართ და ველოდებით, როდის განისაზღვრება მომავალი სეზონის ბიუჯეტი, გუნდის მშენებლობა რომ დავიწყოთ. როგორც ვვარაუდობთ, უწინდელზე ნაკლებ თანხას არ გამოგვიყოფენ, ასე რომ, ალბათ საკმაოდ სოლიდურ შემადგენლობას მოვუყრით თავს. ჯერ არ ვიცი, ვინ ითამაშებს „სტუ-ჯეოსელში“, შესაძლოა, ძველი შემადგენლობიდანაც დარჩნენ ბიჭები. ყველაფერი ალბათ ივლისში გადაწყდება.“

როგორც ვთქვით, ნუგზარ ჭეიშვილის გუნდიდან „დინამოში“ 3 მოთამაშე გადავიდა. თითქმის ასეთი სიტუაცია იყო შარშანაც: სტუ-დან ჩემპიონ გუნდში ერთბაშად ოთხი კალათბურთელი წავიდა — კოტე ტულუში, ვახტანგ მინაშვილი, ლაშა ლოსაბერიძე და დავით მუშკუდიანი. ჰოდა, სტუ-ს მწვრთნელმა ჩვენთან საუბარი ხუმრობით დაასრულა, ხომ ხედავთ, „დინამოს“ საბაზო გუნდი გვყავს, ყოველ სეზონში ახალ-ახალი მოთამაშეებით ვამარაგებთ ბრაიკოვიჩის გუნდსო.

ნუგზარ ჭეიშვილს შეგირდები შემოეცალნენ





ტრეისი მაკგრეიდიმ და სტივ ფრენსისმა ერთმანეთი შეცვალეს

საცოდავი ჯადოქრები ზღაპარს იგონებენ

თიმექი ორლანდოს ემშვიდობება

ამერიკელ ჟურნალისტებს უყვართ „დასწრებაზე თამაში“ და აგერ, ერთი დიდი გარიგებაც გამოამზეურეს. ამ სუპერტრანსფერზე კარგა ხანია, საუბრობენ ამერიკის საკალათბურთო წრეებში, ოღონდ არავინ იცოდა, შედგებოდა თუ არა იგი. ჰოდა, გუშინწინდელმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ქვეყანას ამცნო, ლიგის ბომბარდირ ტრეისი მაკგრეიდის, ჯუონ ჰოვარდისა და ტაირონ ლუს სანაცვლოდ „ორლანდო მეჯიქი“ „ჰიუსტონისგან“ სტივ ფრენსისს, კუტინო მობლის და კელვინ კატოს მიიღებსო. გაზეთმა იქვე დასძინა, რომ ეს ტრანსფერი ოფიციალურად ოთხშაბათს გაფორმდება.

ამ ზორბა ტრანსფერის განხორციელებას სტივ ფრენსისი ეწინააღმდეგებოდა, რომელიც თურმე ისე მოალბეს, სიხარულით მიდის „ორლანდოში“, ამ ყველასგან დაჩაგრულ და გაკენწლილ გუნდში. „ჯადოქრებმა“ ბოლო სეზონში მხოლოდ 21 თამაში მოიგეს 82-დან და ლიგის უცუდესი გუნდის სახელიც სამართლიანად დაიმსახურეს. ახლა კი „ორლანდოში“ თურმე იმედის კოშკებს აგებენ. ფლორიდულმა გუნდმა დრაფტზე პირველ ნომრად „პატარა გენიოსი“ დუაიტ ჰოვარდი აიყვანა და „ჰიუსტონიდანაც“ რომ გაძლიერდება, პლეი ოფში გასვლას გეგმავს.

სამ ოლ სტარში ნათამაშები სტივ ფრენსისის აგენტი ჯეფ ფრედი ამბობს, რომ მისი კლიენტი სამშაბათს ორლანდოში ჩავა, „მეჯიქის“ ხელმძღვანელობას შეხვდება და ყველაფერი კონტრაქტის გაფორმებით დასრულდება.

„მეჯიქს“ შეუძლია, მაკგრეიდის სანაცვლოდ ნებისმიერი მოთამაშე მიიღოს და სწორედ ამან მოხიბლა ფრენსისი, ასეთ ძვირფას მოთამაშედ რომ ჩათვალეს ორლანდოელებმა“ — აცხადებს ფრედი.

თუ ეს გარიგება საბოლოოდ შედგა, და შედგება კიდეც, მაკგრეიდი იქნება ლიგის მეოთხე ბომბარდირი, რომელმაც მოქმედი კონტრაქტის მიუხედავად, გუნდი გამოიცვალა. ბოლოს ასეთი რამ 28 წლის წინ მოხდა, როცა „ბუფალო ბრეივზის“ არქიმექულე ბობ მაკადუ „ნიუ იორკ ნიქსში“ გადავიდა.

ირაკლი პერტაია

ელდარ კურტანიძეს და გია გალდავას ხალისის მიზეზი აქვთ: დაღესტნური ოქრო

დაღესტნური ტურნირიდან გუშინ დაბრუნებულმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მედლებთან ერთად ერთი ცუდი ამბავიც ჩამოიყოლეს. მძიმეწონოსანმა ლექსო მოდებაძემ ისეთი ტრავმა მიიღო, აგვისტომდე მოკეთებაც კი საკითხავია. სხვაფრივ ნაკრების საათენო სამზადისი გეგმაზომიერად მიდის. ბიჭების ჭიდაობით მწვრთნელი გია გალდავაც კმაყოფილია. ხასავიურტის მოვლის შემდეგ თბილისში ოდენ ერთი დღე დაჰყვეს და უმალ ბაკურიანს მიაშურეს ოლიმპიადისწინა ბოლო მოსამზადებელი ეტაპის დასაწყებად

თეთრ საქმემდე შავი სამუშაოა

მოდებაძე ნეკნნატკენი დაბრუნდა

— ხასავიურტში გუნდის გამოსვლით ერთხელაც დავრწმუნდით, რომ პროგრამა, რომელიც ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად შევადგინეთ, გეგმაზომიერად სრულდება. ყველამ კარგად იჭიდავა, მიუხედავად შედეგისა.

— სერიოზული ტურნირი იყო?

— სიმართლე გითხრათ, თვითონაც არ ველოდი, თუ ასეთი ძლიერი ნაკრებები მოიყრიდნენ თავს. 17 ქვეყანა ჩამოვიდა, უმეტესობა ოლიმპიური გუნდით. ელდარის წონაში ხომ საერთოდ, ოლიმპიადის თითქმის ყველა ფავორიტმა იჭიდავა. თავად განსაჯეთ, ირანელი ალი რეზა ჰეიდარი უმედლოდ დარჩა.

— ფინალში ვინ შეხვდა კურტანიძეს?

— რუსეთის სახელით მოასპარეზე გოგშელიძე, მაგრამ იგი ოლიმპიადაზე არ მიჰყავთ. რუსეთის ნაკრები ერთ-ერთი იშვიათთაგანი იყო, ოლიმპიური გუნდი რომ არ ჩამოუყვანია.

— რატომ?

— ერთი კვირის წინ შიდა ჩემპიონატი ჩაატარეს და მასზე გამოვლინდნენ ათენში წამსვლელები. ხასავიურტში კი მეორე ნომრები გამოუშვეს. როგორც ჩანს, ძირითადების დატვირთვა აღარ სურდათ.

— ჩვენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ტურნირს, შედეგზე მეტ ყურადღებას საშეჯიბრო გამოცდილების გახსენებას ხომ არ უთმობდით?

— ორი-სამი შეხვედრის შემდეგ ბიჭების მოხსნაც კი გვინდოდა, ისეთი მძიმე ბრძოლები იყო. მსაჯებმაც არ დაგვაკლეს ხელი.

— ოლიმპიადამდე ტურნირებში ჭიდაობას აღარ აპირებთ. ცოტა ადრე ხომ არ დაამთავრეთ?

— არანაირად. თავიდანვე ასე გვქონდა გადაწყვეტილი. დარჩენილ ორ თვეს შავი სამუშაოს შესასრულებლად გამოვიყენებთ.

— შავ სამუშაოში რას გულისხმობთ?

— ცალკეული კომპონენტების დახვეწას. ასეთი ბევრია. მაგალითად, კონკურენტების ჭიდაობის კარგად შესწავლა. გვაქვს კასეტები, რომლებიც ამაში დაგვეხმარება. დასახვეწია ფანდები, სისწრაფე, დგომი, ჩოქბჯენი და ასე შემდეგ.

— სამ დარჩენილ შეკრებაზე ამდენს მოასწრებთ?

— ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ბიჭები ზუსტად ისე არიან, როგორც ამ ეტაპზე უნდა იყვნენ. ამის ბრწყინვალე მაგალითი რეზო მინდორაშვილია, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიგო.

— ბარემ დანარჩენი ლიცენზიანების დაღესტნური ჭიდაობაც გაიხსენეთ.

— გელა სალირაშვილმა კარგად დაიწყო, მაგრამ მერე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ სომეხ გევორქიანს შეხვდა და წააგო. ლექსო მოდებაძემ კი მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ისეთი ტრავმა მიიღო, უბრალოდ, იდგა და ვერაფერს აკეთებდა. ნეკნი დაიზიანა და არ ვიცით, რამდენ ხანში შეძლებს ვარჯიშის დაწყებას.

— ოლიმპიადამდე ხომ მოასწრებს?

— ჯერ ესეც არ ვიცით. საბოლოო სიტყვას ექიმები იტყვიან.

— თუ ვერ მოასწრო, ვინ შეცვლის?

— ახალგაზრდა დავით ოთიაშვილი, მაგრამ ჯერ ამაზე საუბარი ძალიან ადრეა.

— პოღოსიანმა და თუშიშვილმა რატომღა გამოტოვეს ხასავიურტის ტურნირი? მათაც ტრავმები ხომ არა აქვთ?

— სამწუხაროდ, დაღესტანში წასვლამდე მცირე ტრავმები მიიღეს და აღარ გავრისკეთ, თორემ შეჯიბრი მათთვისაც აუცილებელი იყო. განსაკუთრებით თუშიშვილისთვის, თუმც ასეთ დროს სპორტსმენს ჭიდაობა რომ დააძალო, შეიძლება თავდაჯერებულობა დააკარგვინო.

— ახლა როგორ არიან?

— ნორმალურად. ბაკურიანის შეკრებას უკვე სრული დატვირთვით ჩაატარებენ.

— ბაკურიანში მარტო ლიცენზიანებს ჩაიყვანთ?

— პირველი შეკრება ძირითადად ფიზმომზადების კია, მაგრამ ტაქტიკასაც არანაკლები ყურადღება მიექცევა. თითო წონაში ორი-სამი სპარინგი ჩაგვყავს, ზოგში ოთხიც, ბიჭებს სასურველი წინააღმდეგობა რომ გაუწიონ. მაგალითად, კურტანიძეს დგომში, ჩოქბჯენსა და ფანდების დახვეწაში სხვადასხვა პარტნიორი სჭირდება.

— რახან თავად დაუბრუნდით, ელდარის დღევანდელ ფორმაზე უფრო ჩაგეძიებით. რაც უნდა იყოს, მისი პირადი მწვრთნელიც ხართ.

— შეჯიბრი მშვენივრად ჩაატარა და ამ ეტაპზე კარგ ფორმაშიცაა, მაგრამ ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ ბევრი აქვს მოსამატებელი. წინ ორი თვეა და აუცილებლად მოვასწრებთ.

ოთარ მაღლაკელიძე


ლექსო მოდებაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ანდრეი ხარლოვი (რუსეთი) 1:0;
ლენიერ დომინგესი (კუბა) — თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 1:0;
მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი) 1:0;
რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 1:0

თეთრი გამბიტი

ალექსანდრ გრიშჩუკი

საოცარ ფორმაშია ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვი. უკვე ნათამაშები ცხრა მატჩიდან რვა მოიგო, ერთი კი ყაიმით დაასრულა და ახლა ყველას მხოლოდ ის აინტერესებს, შეუძლია თუ არა ვინმეს მისი შეჩერება.

ეს ეტაპი წარუმატებლად დაიწყო რუსებისთვის, ხარლოვის დარად წააგო გრიშჩუკმაც, თუმც მას ანდრეისთან შედარებით საკმაოდ იოლი მეტოქე, კასიმჯანოვი ჰყავდა. ცნობისთვის, გრიშჩუკმა უზბეკ დიდოსტატს აქამდე ორჯერ მოუგო და რეიტინგიც ჯერ კიდევ მასზე დიდი აქვს.

ყველაზე ხანგრძლივი პარტია ადამსსა და აკოფიანს გამოუვიდათ. ორივე დიდოსტატი ათი წელია, საჭადრაკო ელიტაში ტრიალებს და მათი შეხვედრა აკი ყველაზე დაძაბულიც გამოდგა. ამ მატჩამდე მეტოქეები ერთმანეთს 11-ჯერ შეხვდნენ, აქედან სამი სომეხმა მოიგო, ერთი კი ინგლისელმა. დანარჩენი შვიდი ყაიმით დასრულდა.

აკოფიანმა დებიუტში სიცილიური დაცვა გამოიყენა და მეტოქეს უკვე მესამე სვლაზე გაუცვალა პაიკი. ადამსი ხელმწიფის ფლანგის გაძლიერებას შეუდგა, მეოთხე ზოლზე ოთხი პაიკი განალაგა, უკან კი მაშველებად კუები მიუსვა და d ხაზზე ლაზიერ-ეტლის დუეტი დაუმიზნა შავებს. აკოფიანმა საფრთხე იყნოსა და მე-18 სვლაზე ლაზიერი გაცვალა. ალბიონელი არ დაბნეულა, მარცხნიდან ახალი იერიში წამოიწყო, პაიკებით მეტოქის ფიგურები გაჭედა და თავისიანებს წინ გასასვლელი გზა გაუხსნა. მოპოვებული უპირატესობა ადამსმა ბოლომდე შეინარჩუნა და 77-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალის ყველა პარტია თეთრების გამარჯვებით გასრულდა.

ლაშა გეგეჭკორი


ვლადიმერ აკოფიანი და მაიკლ ადამსი

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისს უნდა

ტანიას უნდა პრინცი, პრინცს უნდა მაშა

REUTERS

კაცები

მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:3, 7:6 (7:3), 7:6 (7:5); **ენდი როდიკი** (2, აშშ) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 7:5, 6:4, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — მარკ ფილიპუსისი (11, ავსტრალია) 6:2, 7:5, 6:7 (3:7), 7:6 (7:5); **ლეიტონ ჰიუიტი** (7, ავსტრალია) — კარლოს მოია (9, ესპანეთი) 6:4, 6:2, 4:6, 7:6 (7:3); **სებასტიან გროჟანი** (10, საფრანგეთი) — რობი ჯინეპრი (27, აშშ) 6:2, 6:2, 7:6 (7:4); **სხენგ შალკენი** (12, ჰოლანდია) — ვინს სპადია (30, აშშ) 6:2, 7:5, 3:6, 6:2; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 7:5, 3:1 მალისმა შეწყვიტა; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 6:4

ქალები

მესამე წრე

სილვია ფარინა ელია (14, იტალია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 2:6, 6:4, 7:5; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:3, 2:6, 6:3

მეოთხე წრე

ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — ვერა ზვონარიოვა (12, რუსეთი) 6:4, 6:4; **აი სუგიამა** (11, იაპონია) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 7:5; **მარია შარაპოვა** (13, რუსეთი) — ემი ფრეზერი (31, აშშ) 6:4, 7:5; **კაროლინა შპრემი** (ხორვატია) — მაგდალენა მალეევა (21, ბულგარეთი) 6:4, 6:4

რაკილა კვირიდან მოყოლებული ლონდონში რიგიანი დარი დარობს, მატჩებიც ჩაუგდებლად ტარდება. ორშაბათს კაცთა ყველა მეოთხედფინალისტი გაირკვა და ანგარიშებს თუ გადაიკითხავთ, ყველაფერი თითქოს ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო კიდეც.

დღის მთავარმატჩები კი ორი იყო — აქეთ ჰენმანისა და ფილიპუსისის, ხოლო იქით ჰიუიტისა და მოიასი. ორივე მატჩმა ერთნაირი სცენარით ჩაიარა — უფრო უკეთ მოპაექრე ჰენმანმა და ჰიუიტმა მეტოქეებს ჯერ ორ-ორი სეტი მოუგეს, მერე თითო-თითო დაუთმეს და საბოლოო გამარჯვება მეოთხე სეტების ტაიბრეიკებზე იშოვეს.

ჰენმანმა, ვისაც მშობლიურ სლემტურნირზე ოთხჯერ უთამაშია ნახევარფინალში და ფინალამდე ერთხელაც ვერ მისულა, ისე-რა საპირველწრეებო ჩოგნაობათა შემდეგ როგორც იქნა ხელიც გამოიღო და ზორბა ღლავიც მოჩანგლა. ამ ღლავმა შარშან ფინალში ითამაშა და, მართალია, როჯერ ფედერერს იქ უბრძოლველად დანებდა და რამე ღირებული არც მერე მოუნაგრავს, გლაჯუნა მოწოდებისა და აგრესიული ბურთაობის გამო მაინც ყოველთვის სახიფათო მეტოქეა.

თუმცა ჰენმანის უპირატესობა ამ ჯერზე იმდენად აშკარა იყო, რომ ილუზია არავის უნდა შეჰქმნოდა. ფილიპუსისგან განსხვავებით ამ სეზონში რიგიანად მოპაექრე ბრიტანელმა, ვინაც ამ რამდენიმე კვირის წინ როლანგაროსობის ნახევარფინალსაც უწია, მატჩის სადავეები თავიდანვე მტკიცედ იპყრო და იმის მიუხედავად, რომ მესამე სეტი აიდოსტზე წააგო, საკუთარ ძალებში რწმენა ბოლომდე არ შერყევია. ეს რწმენა კი უფრო ხშირად სწორედ უკეთესად მომზადებულსა და წარმატებებს გაჩვეულ მეჩოგნეებს არ ღალატობთ.

შეგახსენებთ, რომ ვინგინდავინ ბრიტანელ კაცს უიმბლდონური ხონჩა თავზეით უკვე 68 წელია, აღარ შეუმართავს. კუნძულელები იმედოვნებენ, რომ ტიმ ჰენმანი ამას ახლა, მისა კარიერის ზენიტში, 29 წლისა ძაინც შეძლებს.

სამისოდ, რათა ამ იმედებს უფრო ღონიერი საფუძველი გაუჩნდეს, ჰენმანმა მეოთხედფინალში 20 წლის ხორვატ მარიო ანჩიჩს უნდა სძლიოს. ამ ანჩიჩისა ხორვატებს ძალზედ ეიმედებათ და დიდი გორანის წასვლის შემდეგ მის უმთავრეს მემკვიდრედაც სწორედ მას ასახელებენ. თავად გორანი ამბობს, რომ ამ ბიჭს მართლაც შეუძლია, დიდ მეჩოგნედ ჩამოყალიბდეს, თუმცა მას ჯერაც განსწავლის პერიოდი უდგას.

ცუდი მოსწავლე კი ანჩიჩი ნაღდად არ არის და არცთუ უიმბლდონური კოინდარია მისთვის უიღბლო. სხვა თუ არაფერი, მას აქ ორი წლის წინ მეშვიდე ნომრად განთესილი როჯერ ფედერერიც მოუდრიკავს. წლეულს კი მან მეოთხედფინალამდე საკმაოდ დამაჯერებლად მიატანა და სანამ ქსავიე მალისი ტრავმის გამო მასთან თამაშს შეწყვეტდა, გზად 33-ე ნომრად განთესილ ლუის ორნასა და 25-ედ განთესილ დომინიკ ჰრბატის აჯობა.

ახლა კი ჰიუიტისა და მოიას შესახებ.

ლეიტონ ჰიუიტმა შარშანდელი ტურნირის პირველსავე წრეში სენსაციურად ჩაიფლავა აყლაყუდა ივო კარლოვიჩთან. ის წელი კისკასი ოზბიჭისთვის საერთოდაც წარუმატებელი და უჭირნახულო იყო და ამ მარცხის გარდა ცუდ მოსაგონრად ბევრი სხვაც გამოაყოლა. ყოველივე ამის გამო წლეულს ის საოცრად მობილიზებულია და ცდილობს, რაც შეუძლია, ბოლომდე კაცურად და ჰალალად აკეთოს, ისე, რომ მერე თვითდასამუნათებელი აღარაფერი ჰქონდეს.

კარლოს მოიას წინააღმდეგაც ჰიუიტი თავიდანვე შეკრულად და ბასრად ირჯებოდა და, მართალია, მესამე სეტში აბჯარი ოდნავ მოეფოლხვა — რის გამოც გამოცდილი მეტოქის რამდენიმე ნატიფი დარტყმა იგემა — მატჩის ხარბად ჩაბღუჯული სადავეები მაინც არ გაუშვია.

შარშანდელმა მარცხმა ბევრი რამ მასწავლა და ასე მგონია, წლეულს უკეთესი მეჩოგნე ვარო, იძახდა მერე ჰიუიტი. ხოლო მართალია მისი ეს ვარაუდი თუ არა, ამას მეოთხედფინალი გვაჩვენებს, რომელშიც 2002 წლის ჩემპიონი შარშანდელ გამარჯვებულ როჯერ ფედერერს შეხვდება.

საამმომავალმატჩოდ მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ისინი ერთმანეთს აქამდე 11-გზის შეხვედრიან და ოზი შვეიცარიელს ჯერაც 7:4 უგებს. ჯერაც-ჩვენთქი იმიტომ ვამბობთ, რომ წლევანდლამდე თანაფარდობა სულაც 7:2 იყო, ხოლო წლეულს ფედერერმა ჰიუიტი ავსტრალიის ღია პირველობაზეც შედარებით იოლად დაამარცხა და ჰამბურგულ მასტერსზე ხომ სულაც 6:0, 6:4 მოუგო.

საიმისოდ, რათა ჰიუიტს წლეულს მესამედ შეხლოდა, ამქრის პირველოსანს კაი ძალი ოფლის ღვრა მოუხდა. თან იმავ ოყრაყ კარლოვიჩთან, ვინაც კორტიდან ორ მეტრსა და რვა სანტიმეტრს აითვლის და ამ თვალსაზრისით საჩოგნეთში ბადალი არა ჰყავს.

ოღონდ, მძაფრი ბათქა-ბუთქის მიუხედავად ფედერერმა მაინც შეძლო, ტურნირის მსვლელობისას გაუტეხავად დაცული თავისი მოწოდება არც ამ ვირგლასთვის არ წაემურდვლინებინა.

მისი შთამბეჭდავი გარჯით ყველაზე მოხიბლული დარჩა ენდი როდიკი, რომელმაც თავის მხრივ ასევე სეტისწაუგებლად ჩაურბინა ჭაბუკ გერმანელ ალექსანდრ პოპს.

ის თითქმის მოუწყვლელიაო, ამბობდა იმ დღეს ფედერერის სიჩაუქით დაზაფრული ენდიბოი: „როჯერი აცრილია წნეხზე და ვერავინ ახერხებს, მას თავისი თამაში უკარნახოს. პირუკუ, თამაშს ყველას სწორედ თავად კარნახობს. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ის არასოდეს პანიკდება."

ხოლო სანამ ქალებზე გადავიდოთ, ორიოდ სიტყვით შევეხმიანოთ მეოთხედფინალში მოხვედრილ ერთადერთ გერმანელ ფლორიან მაიერს, 20 წლის ნიჭიერ ყმაწვილს, ვინაც იოახიმ იოჰანსონის მოდრეკამდე ისეთი სახელიანი ხალხიც მოინელა, როგორიც რომ გილერმო კორია და უეინ ფერეირა გახლავან. არადა, ამ ტურნირამდე მაიერს ბალახსაფარზე მხოლოდ ერთი მატჩი ეთამაშა და საჩოგბურთო მზვარეში არცთუ სხვა რომელიმე წახნაგით გაკაშკაშებულა.

იქნებ ბეკერისა და შტიხის ტრადიციას გამგრძელებელი გამოუჩნდეს?! მეოთხედფინალი და ხვალეო — ფატერლანდის იმედს გამოცდილი და ბალახთან კარგად გაჩვეული ფრანგი სებასტიან გროჟანი გამოსცდის.

ახლა კი მდედრიონზეც.

აქ მეთაური სადღეგრძელო ლოლომარწყვა მარია შარაპოვასა და მის „ისტორიულ თანამემამულე" ტატიანა გოლოვინს ეკუთვნით. თუმცა არც 19 წლის ხორვატის, კაროლინა შპრემის დაულოცველობაც იქნება, ვინაც მეორე წრეში ვინუს უილიამსი რომ გააბუნძულა, მაგდალენა მალეევას ძლევით ახლა მეოთხედფინალშიც შეჯლიგინდა.

16 წლის გოლოვინს თავისი სამეოთხწრეო შეხლა ჯერ კიდევ წინა აქვს (მას იქ ამქრის ბუა, სერენა უილიამსი ელოდება), მაგრამ კარგი ჩოგნაობის გარდა ის ტურნირზე კიდევ ორი რამითაც გამოირჩა. ერთი რომ ასაკით — ის ძირითად ბადეში მოხვედრილთა შორის უმრწემესია, მეორე კი იმდღევანდელი განცხადებით — აქამდე ბოიფრენდი არა მყოლია და თუკი ვინმე მინდა, ეგ მხოლოდ პრინცი უილიამიო.

უილიამისგან გამოხმაურება ჯერ არ ყოფილა, თუმცა ვეჭვობთ, რომ სხვა კუნძულელი ხვადების დარად ამ დღეებში ისიც მოსკოვში დაბადებულსა და მერე გაფრანგებულ გოლოვინზე მეტად მარია შარაპოვასთან სიახლოვეს უფრო ნატრობს.

ეს გასაკვირიც არაა, რაკილა მაშა ახლა მართლაც მაკნატუნა ფორმაშია და ჩოგბურთსაც ხომ გარეგნობის პირდაპირპროპორციულად თამაშობს.

ყველაფერს თავი დავანებოთ, ეს გოგოცუნა უკვე მეორე წელია, წლის საზეო ტურნირის მეოთხედფინალში ხვდება და უკვე აღარც თავად მალავს იმ ამბიციას, და უკვე აღარც სხვები ეჭვობენ, რომ ადრე თუ გვიან მას უიმბლდონზე სადედოფლოდ გარონიებაც ერგება.

რაც მთავარია, მასზე საუბრისას უკვე აღარავინ ახსენებს ჩოგბურთის სექსსიმბოლოყოფილ ანა კურნიკოვას, რომელმაც დიდი კორტი ისე დატოვა, თან ერთი ქეციანი ტიტულიც არ წაუღია.

17 წლის მაშას კი, რომელიც — სხვათა შორის — კურნიკოვას მსგავსად ნიკ ბოლეტიერის განთქმულ ფლორიდულ აკადემიაში იწრთობოდა, ტიტულზარდახშაში უკვე სამი ტიტული მოეძევება.

მეოთხედფინალში გასასვლელად მან ამ ჯერზე 31 წლის ემი ფრეზერს აჯობა და ამით მასზე შური იძია უფროსი მეგობრის, ტასია მისკინას წინა წრეში დამარცხებისთვის.

ნახევარფინალში მოსახვედრად შარაპოვა იაპონელ აი სუგიამას შეხვდება და როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ვარაუდობს, მასაც გასცდება და მისმომდევნოდ ლინდსი დევენპორტსაც დიდ პრობლემებს შეუქმნის.

1999 წლის ჩემპიონმა ლინდსიმ იმ დღეს გაუსაჩივრებლად მოუგო ბუსკუნა რუსგოგო ვერა ზვონარიოვას და ახლა ზემოთ ნახსენებ კაროლინა შპრემს გადაეყრება.

ლევან ძელაურაძე

გუშინ

ქალები

ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — სილვია ფარინა ელია (14, იტალია) 7:5, 6:3; **პაოლა სუარესი** (9, არგენტინა) — რიტა გრანდე (იტალია) 4:6, 6:0, 6:2; **სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 6:2, 6:1; **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — ნადია პეტროვა (10, რუსეთი) 6:4, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — კაროლინა შპრემი (ხორვატია) 6:2, 6:2; **მარია შარაპოვა** (13, რუსეთი) — აი სუგიამა (11, იაპონია) 5:7, 7:5, 6:1

ფეხბურთი

შვედეთი

თასის 1/16 ფინალი

ვარნამო 2:2დდ(2:4პ) ჰამარბი

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. VIII ტური

აკრანესი 0:2 ვიკინგური

ფილკირი 1:2 ვესტმანაეიარი

REUTERS ლონდონიდან

იტირე, მადლი გიქნია

ადგილი, სადაც ოლიმპიური ჩირაღდანი ჩაატარეს, ალბათ თვითონ იცანით, რომ, კოლიზეუმი... მეჩირაღდნე კი, უმანუელე პიერანტონი გახლავთ, რომელსაც სიხარულის ცრემლი უნამავს სახეს. იმედი გვაქვს, ცრემლი ცეცხლს ვერ ჩააქრობს.

REUTERS რომიდან

ისე ხმები და გულის ხმები

ხელმწკივანი ბელგიელი მეჩოგნე კიმ კლაისტერსი დიდ ფორიაქშია. ერთი რომ, უიმბლდონზე თავად ვერ ჩოგნაობს და, ბოიფრენდი ლეიტონ ჰიუტიც კარლოს მოიას ეპაექრება. ამავე მეოთხე წრეში ერთმანეთს შეებნენ ტიმ ჰენმანი და მარკ ფილიპუსისი. პირმშვენიერი ლედი, ვისი სახელიც დელტა გუდრემია და ოჩი მომღერალი გახლავთ, ბოიფრენდ ფილიპუსისს ქომაგობს, ეს მყვირალა გოგოები კი ჰენმანის ფანები არიან.

REUTERS ლონდონიდან

ნუ გეშინია, შვილო

ტაილანდური წარმოშობის იაპონელმა დენ ჯუნდაფან იგლ კიოვამ, ვინაც WBC-ს ვერსიით მსოფლიოს უმსუბუქესი ჩემპიონია, ქამარი შეინარჩუნა იაპონელ სატოში კოგუმაძაკასთან ჩხუბში და შვილთან ერთად ხარობს. თუმცა შვილი იქნებ ვერც ხვდება, მამა ჩემპიონი რომ ჰყავს.

REUTERS იოკოჰამიდან

კარგადხტომა

REUTERS პრაღიდან

რუსი ელენა სლესარენკო ახტა, დახტა და თამასას გადაახტა. IAAF-ის გრან პრის პრაღამ უმასპინძლა, თამასა კი 201 სანტიმეტრის სიმაღლეზე იყო გადებული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge